სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 ნოემბერი 2006 №275 (2897) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპამ დაცვას მიხედა

თავდამსხმელი კი უბურთოდ დატოვა



ტანავარი: 173

ნეაპოლში დაბადებულმა, ოდესღაც მოედნის კიდესთან მორბენალმა და „ნაპოლის“ ფეხბურთელებისთვის ბურთის მიმწოდებელმა ფაბიო კანავარომ „ოქროს ბურთი“ დაისაკუთრა. მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრების კაპიტანმა და მადრიდის „რეალის“ მცველმა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში ჯანლუიჯი ბუფონს 49 ქულით აჯობა და ევროპის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

33 წლის ფაბიო კანავარო მეხუთე იტალიელია, რომელსაც ეს ჯილდო ერგო. აქამდე „ოქროს ბურთის“ მფლობელები იყვნენ ომარ სივორი (1961), ჯანი რივერა (1969), პაოლო როსი (1982) და რობერტო ბაჯო (1993). ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად კი მცველი ბოლოს ათი წლის წინ დაასახელეს — მათიას ზამერი.

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგები კი რიცხვებში ასეთია:



ბუფონი: 124



რონალდინიო: 73



ზიდანი: 71

ანრი: 121

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ორი პატარა პატარებს

ტოპმიოლერმა სამალტედ მჭედლიძე და ყენია დაიმატა

საქართველოს 19-წლამდელთან ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა ის შემადგენლობა დაასახელა, 5 და 7 დეკემბერს მალტასთან სტუმრად ორ ამხანაგურ მატჩში რომ ათამაშებს.

საქართველოს ნაკრები მალტაზე 3 დეკემბერს ჩავა. ერთადერთი ლევან მჭედლიძეა, გუნდს თბილისიდან რომ არ მიჰყვება — იგი პირდაპირ იტალიიდან შეუერთდება გუნდს.

მალტაზე ჩააკითხავენ ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე, მამუკა აბუსერიძე და ხორვატი მზვერავი პეტერ სერგტი.

საინტერესოა, რომ ჰაინც ტოპმიოლერმა ძველ შემადგენლობას ორი ახალი დაამატა — 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერები, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე ყველაზე უმცროსები არიან სამალტე სიაში.

და ერთიც: ჩვენები მალტასთან მუდმივნომრიანი მაისურებით ითამაშებენ...

მეკარეები

1. რევაზ თევდორაძე (ზაპოროჟიე, უკრაინა, 1988), 12. როინ კვასხვაძე (ზესტაფონი, 1989);

მცველები

2. გულვერდ თომაშვილი (დინამო, 1988), 3. გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი, 1988), 4. გიორგი ელბაქიძე (ამერი, 1988), 8. დავით მჭედლიშვილი (ამერი, 1988), 13. ზურაბ გვაძაბია (ამერი, 1988), 16. ვახტანგ ქვრივიშვილი (გაგრა, 1989), 18. ლაშა თოთაძე (გაგრა, 1988);

ნახევარმცველები

5. გიორგი განუგრავა (ზესტაფონი, 1988), 6. ნიკო კვასხვაძე (ზესტაფონი, 1988), 7. მირზა ბჟალავა (ზესტაფონი, 1988), 14. ლევან ყენია (ლოკომოტივი, 1990), 15. დავით თარგამაძე (დინამო, 1989), 17. ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი, 1989);

თავდამსხმელები

9. ბექა გოცირიძე (ზესტაფონი, 1988), 10. რატი წინამძღვრიშვილი (ამერი, 1988), 11. ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია, 1990).

კახა შალამბერიძე

ამ უქმეებზე ევროპაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთაგან თავი ალკმაარელმა შოთა არველაძემ და ფრაიბურგელმა ალექსანდრე იაშვილმა გამოიჩინეს. თუ შოთას გოლებს გულშემატკივარი დაჩვეულია, იაშვილი მიმდინარე სეზონში დიდად არ გვანებივრებს. თუმცა, მართალია, „იაში“ წლეულს დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა, „ფრაიბურგისთვის“ მაინც საჭირო ფეხბურთელია. „ოფენბახთან“ გატანილი ბურთი მიმდინარე სეზონში ოდენ მეორე გამოდგა იაშვილისთვის...

ალექსანდრე იაშვილი:

თუ გადავედით, არ გადავალ

— გოლის გატანა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი შედეგია. ჩემი გოლის შემდეგ ანგარიში 1:1 გახდა, გვეგონა, თამაშს შემოვაბრუნებდით, მაგრამ, საწუხაროდ, წავაგეთ. საერთოდ, ფეხბურთი გუნდური თამაშია და ცალკეული ფეხბურთელების გარჯა წარმატებას ვერ მოიტანს.

— ბუნდესლიგაში აღზევებისთვის იბრძვით, მაგრამ ძალიან არასტაბილურად თამაშობთ...

— გერმანელები გაკვირკვებულნი არიან „ფრაიბურგის“ თამაშით. ბუნდესლიგაში გადასასვლელად შვიდი გუნდი იბრძვის, მათგან „კარლსრუეს“ გარდა ყველას ვეთამაშეთ და არც ერთთან არ წაგვიგია. სუსტ გუნდებთან კი რატომღაც ვაგებთ — შარშანაც ასე იყო. ეტყობა, სუსტებთან ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდვართ, არადა, ფეხბურთში კონცენტრაციის დაკარგვას არავინ გაპატიებს.

— მწვრთნელის შეცვლაზე ხომ არ არის ლაპარაკი?

— როდესაც გუნდი სუსტად თამაშობს, რატომღაც პირველ დარტყმას ყოველთვის მწვრთნელს აყენებენ, მაგრამ სათამაშოდ ფეხბურთელები გავდივართ და ჩვენი წილი შეცდომები ჩვენც გვაქვს.

— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— იტალიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ „ფრაიბურგში“ შვიდი მატჩი ჩავატარე, ორი გოლი გავიტანე და ხუთი საგოლე გადაცემა გავაკეთე. ურიგოდ ნამდვილად არ ვთამაშობ, მაგრამ მთლიანობაში გვაკლია რაღაც.

— გუნდის შეცვლას ხომ არ აპირებ?

— ჯერჯერობით გუნდთან მოქმედი კონტრაქტი მაქვს და „ფრაიბურგის“ დახმარებაზე ვფიქრობ. შანსები ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს, პირველი წრის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი, შემდეგ შესვენებაა. თუ მოვახერხეთ და, შევძელით ბუნდესლიგაში გადასვლა, ძალიან კარგი იქნება, თუ არა და, მერე მომავალზეც დავფიქრდები.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პირველად პირველობა

სახალხო თასი პირველ მფლობელს ელის

საქართველოს სუპერთასის გათამაშება პირველად 1996 წელს გაიმართა, ხუთი წელი იარსება და შემდეგ ამდენივე ხნით შეწყდა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ შარშან სუპერთასის გათამაშება აღადგინა, წლეულს კი სერიოზული სპონსორიც მოძებნა — საავტომობილო კონცერნ „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლობა საქართველოში.

პროფლიგისა და „ფოლკსვაგენის“ მოლაპარაკების შედეგად, „ფოლკსვაგენის თასი“ 1 დეკემბერს „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გაიმართება — ერთმანეთს ჩემპიონი ბოლნისის „სირნი“ და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ამერი“ დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ აქამდე სუპერთასი ხუთჯერ მოუგია თბილისის „დინამოს“, ერთხელ კი „ბათუმს“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გახოკიძის ფატალური უიღბლობა

ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველ ნახევარმცველს ისევ უმუხთლა ფეხმა — გოგა გახოკიძეს წელიწადზე მეტია, კუნთების ქრონიკული ტრავმა სტანჯავს და ქვა აღძართვიც მიეწია.

ოდნავ მომჯობინებულმა გახოკიძემ „ტვენტეს“ მეორე გუნდში ითამაშა და 25-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა — უკანა კუნთი გაუწყდა.

ამ ტრავმამ გახოკიძე კიდევ უკან დაწია — გოგა უოპერაციოდ შეუდგა კუნთის მკურნალობას და ამ დროისთვის, უკეთესადაა, თუმცა...

როგორც გახოკიძემ გვითხრა, უკვე ძალიან სერიოზულად ფიქრობს ფეხბურთელობისთვის თავის დანებებაზე.

დავით თავართქილაძე

სათამაშო არ ვარ!

იბრაჰიმ ართვინლი: ტორპედო ქუთაისში ჩემი იყო, თბილისში სხვისი გახდა

საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. ქუთაისის „ტორპედომაც“, ავად თუ კარგად, ჩაამთავრა წელი...

პრეზიდენტდაჭერილ კლუბს ახლა ფინანსურად ძალიან უჭირს — ბოლო სამი თვეა, ფეხბურთელები უხელფასოდ თამაშობენ.

ითქვა, „ტორპედოს“ შესყიდვის მსურველი გამოჩნდაო, თუმცა ეს ყველაფერი გრიგოლ ხურციძის განთავისუფლებამდე იურიდიულად შეუძლებელია. „ტორპედოს“ შეძენის მსურველად კი ისევ ქართული წარმოშობის თურქი ბიზნესმენს, იბრაჰიმ ართვინლის ასახელებენ. გეხსომებათ, ართვინლის „ტორპედოს“ შეძენა შარშან ზაფხულშიც სურდა, მაგრამ ყველაფერი მოგვარებული რომ ჩანდა, მოულოდნელად გადაიფიქრა.

ახლა კი ართვინლის ხელახალ ჩამოსვლას იმერეთის ახალ გუბერნატორს უკავშირებენ, რომელიც კლუბის ბედით დაინტერესებულა და...

ინფორმაციის გადასამოწმებლად *იბრაჰიმ ართვინლის* გუშინ თურქეთში შევეხმიანეთ...

— როცა მინდოდა „ტორპედოს“ ყიდვა, მაშინ ხელი შემიშალეს. ქუთაისიდან თბილისში ჩასვლამდე საბუთები შეცვალეს და წილობრივი პროცენტები გადააკეთეს. ახლა კი „ტორპედოს“ შეძენის სურვილი საერთოდ აღარ მაქვს. ბოლო თვეებია, ქუთაისიდან რამდენჯერმე დამირეკეს, მაგრამ მე სათამაშო არ ვარ. წლინახევრის წინ რომ მოვდიოდი, ჩემი სამუშაო გეგმა მქონდა, წარმოშობით ქართველი ვარ და მინდოდა, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ რაღაც გამეკეთებინა, მაგრამ...

— ბოლოს ვინ მოგმართათ წინადადებით?

— ვერ გეტყვით. ორი-სამი ზარი იყო სხვადასხვა პიროვნებებისგან.

— „ტორპედოს“ ყიდვას საბოლოოდ გამორიცხავთ?

— ამ თემაზე უკვე აღარ ვფიქრობ.

მოკლედ, „ტორპედო“ ისევ გამოუვალ მდგომარეობაში რჩება. ხურციძის სასამართლო პროცესი 30 ნოემბრისთვისაა დანიშნული და, როგორც შევიტყვეთ, თავად ხურციძე კლუბის გაყიდვაზე არ ფიქრობს.

და მაინც: ვისი ინტერესებია „ტორპედოს“ უკან და რა ელის საქართველოს სამგზის ჩემპიონს?

ლუკა თალაკვაძე

ინგლისი
კონფერენსლიგა
XIX ტური
ბარტონი 1:0 ეძსეტერი

გერმანია
II ბუნდესლიგა. XIV ტური
მიუნხენი 2:1 კოგლენცი

იტალია
სერია B. XIII ტური
ფროზინონე 1:1 მანტოვა
სერია C1/B. XIII ტური
აველინო 4:0 კავეზე

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა
XVI ტური
ტეპლიცე 2:4 სლავია

პორტუგალია
სუპერლიგა. XI ტური
სეტუბალი 1:2 ბრაგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი

I წრე. 13 ტური

ოლიმპი	1:0 ტორპედო
ვიტ ჯორჯია	4:3 ამერი
ლოკომოტივი	1:0 კახეთი
მერანი	0:3 სიონი
ბათუმი	1:3 დინამო
ზესტაფონი	4:0 ბორჯომი
ჩიხურა	1:1 დილა

ბალრი ალთილავაძე მეჯოგიდან

პირველი ადგილიდან მეხუთემდე დაშორება სულ 5 ქულაა და საერთო ჯამშიც ჩემპიონატს ხუთი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — ეს უკვე გემოვნების ამბავია, ვის „ოლიმპი“ მოსწონს, ვის „ვიტ ჯორჯია“, ვის „ამერი“, ვის „ზესტაფონი“ და ვის „დინამო“... შეიძლება ითქვას, ეს კვინტეტი შემადგენლობითაც და თამაშის ხარისხითაც დაახლოებით თანაბარი დონისაა. ამის გათვალისწინებითაც, მეორე წრე ძალიან დაძაბულ ბრძოლას გვპირდება...

ოლიმპური წრე და არაოლიმპიური სიმშვიდე

ამას მაისში ვნახავთ, გუშინწინ კი პირველი წრე ჩამთავრდა და დრამა აქ იყო, თუ იყო: ვინც საქართველოს ძირძველ დედაქალაქში წასვლა არ დაიზარა, ნასიამოვნებიც დარჩებოდა, რაკიღა „ვიტ ჯორჯია“ — „ამერის“ ჯახში ყველაფერი იყო, რაც ფეხბურთს უხდება...

ეს გუნდები გამოკვეთილი, თავისებური სტრატეგიით გამოირჩევიან და კლუბის მართვის სისტემაც გამართულად აქვთ აწყობილი. „ამერს“ სულ ოთხი წლის ისტორია აქვს, გიორგი ჩიხრაძის სამწყსო ოდენ მეორე უმაღლესლიგურ სეზონს ატარებს, მაგრამ ვინ იტყვის, რომელიმე კონკურენტს ჩამოუვარდებაო?! როგორია, უკვე მე-9 წუთზე 0:2 აგებ და 3:2 შემოატრიალო თამაში, თან ისეთ გუნდთან, რომელსაც, ზოგადა, კონცენტრაციის დაკარგვა არ სჩვევია.

...მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ ის გუნდია, რომელიც სტაბილურად ინარჩუნებს შემადგენლობას, ასხვისებს ერთ-ორ წამყვან ფეხბურთელს, მაგრამ მაინც არ სუსტდება, ისევ იმ დონეზე დგას.

„ამერმა“ კი შეატრიალა თამაში, მაგრამ ბოლოს ვიტელებმა ჩართეს სიჩქარე და, შეიძლება ითქვას, ერთ მატჩში ორჯერ მოიგეს.

რამდენს ნიშნავს, როცა გუნდს ჰყავს კარგი „დირიჟორი“ — ასეთია დავით დიღმელაშვილი და სტატისტიკას რომ ჩავხედოთ, შეიძლება გავოცდეთ, იმდენი საგოლე პასი აქვს გაკეთებული ბოლო სეზონებში. ასეთი კაცი ამერელებსაც ჰყავთ, მაგრამ დავით ბოლქვაძე „ვიტ ჯორჯიასთან“ სრული ძალით ვერანაირად ვერ ითამაშებდა, რაკიღა ტრავმით გავიდა მოედანზე.

მცხეთურმა შვიდგოლამ ტურის სხვა მატჩები კი დაჩრდილა, მაგრამ ლიდერზე როგორ არ შევჩერდეთ: რუსთავის „ოლიმპი“, „თბილისის“ და „ბაფუმის“ ბაზაზე წლეულს შექმნილი გუნდი, რომელსაც საწყის რვა ტურში გოლი არ ჰქონდა გაშვებული და თან ისეთი გამარჯვებებია გამოურია, თუნდაც „ვიტ ჯორჯიასთან“ 4:0 მოგება რად ღირს. ახალგაზრდა ფეხბურთელები და ახალგაზრდა მწვრთნელი: ჯერჯერობით გიორგი კიკნაძის სამწყსო საათივითაა აწყობილი, პირველი წრის ბოლო ტურშიც თითქმის შანსი არ დაუტოვა ქულაზე მონადირე ქუთაისის „ტორპედოს“ და ორქულიანი ფორით გალიდერდა.

ცოტა არ იყოს, გაუჭირდა თბილისის „დინამოს“, რომელიც მე-60 წუთამდე აგებდა შესუსტებულ „ბათუმთან“, მაგრამ ჯერ გაათანაბრა, მერე კი დუშან უჭრინის გუნდს მიხეილ ბობოხიძე მოევლინა მხსნელად — ბოლო ათწუთეულში გატანილმა ტყუპმა გოლმა დინამოელებს ლიდერთა ოთხეულთან დისტანცია შეანარჩუნებინა.

ისიც ვთქვათ, რომ ბათუმში საბდრო იაშვილმა პენალტი ააცილა...

მეცხრე გოლგაუშვებული მატჩი ჩაატარა „ზესტაფონმა“, რომელმაც ოთხი ბურთი „უსახსოვრა“ „ბორჯომს“ და აქედან ორი ზურაბ იონანიძისა იყო. იონანიძე-ფიფიას დუეტი ძალიან ბობოქრობდა პირველ წრეში, ფეროელებს სხვა რგოლებშიც ფარსაგად აქვთ საქმე და თანაც ტიტული სწყურიათ...

კიდევ რით იყო გამორჩეული ეს ტური? რა თქმა უნდა, ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემის ჰეთ თრიქით. ბოლნისელებმა 3:0 მოიგეს თბილისის „მერანთან“, რომელსაც ოთხი დღის წინ სათასო შეხვედრაშიც სძლიეს. მაშინაც და ახლაც მერანელებმა პენალტი გააცუდეს. „სიონმა“ კი ამ სეზონში რაიმე ხეირს გამორჩეს და ევროთასებზე გააღწიოს, ძალიან გვეეჭვება...

თბილისის „ლოკომოტივი“ ძალიან ფერმკრთალი გუნდია და ერთადერთი ნათელი წერტილი 16 წლის ლევან ყენიაა. რკინიგზელები უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებიან, ამ ტურში კი, თითქმის უკვე გავარდნილ თელავის „კახეთს“ 1:0 მოუგეს.

დაახლოებით თელაველთა დღეშია გორის „დილაც“, მაგრამ დახეთ, რა ჰქნა კვირას — საჩხერიდან ქულა წამოიღო. „ჩიხურა“ ნაღდად გამოცანაა: კლუბს ნორმალური ფინანსური შესაძლებლობა აქვს და მწვრთნელიც კარგი ჰყავს, მაგრამ გუნდი ვერა და ვერ თამაშობს. ამბობენ, ზემოიმერლები მეორე წრიდან მოძლიერდებიანო და ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

ოლიმპი	13	10	2	1	32:5	32
ვიტ ჯორჯია	13	9	3	1	30:16	30
ამერი	13	9	3	1	28:8	30
ზესტაფონი	13	9	3	1	22:3	30
დინამო	13	9	0	4	24:11	27
ტორპედო	13	7	3	3	16:8	24
სიონი	13	7	2	4	19:10	23
ლოკომოტივი	13	4	2	7	10:17	14
ბორჯომი	13	3	3	7	15:25	12
მერანი	13	3	2	8	9:26	11
ჩიხურა	13	2	4	7	10:22	10
ბათუმი	13	2	3	8	10:14	9
დილა	13	0	3	10	6:38	3
კახეთი	13	0	1	12	9:37	1

ბომბარდირები

8-გელაშვილი	ვიტ ჯორჯია
7-ტატანაშვილი	ამერი
დოლიძე	ამერი
ბ. დათუნაიშვილი	ვიტ ჯორჯია
6-იაშვილი	დინამო
ფიფია	ზესტაფონი
იონანიძე	ზესტაფონი
5-ალავიძე	სიონი
ჩასემი	სიონი
ბოგოხიძე	დინამო

დიღმელაშვილმა ურალი დაივიწყა

შორიდანაც ჩანდა, რომ მოგება ჩვენ უფრო გვინდოდა

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე ადგილით ჩაამთავრა — ვიტელებმა ბოლო ტურში თბილისის „ამერს“ შინ 4:3 რომ მოუგეს, ცხრილში ერთი საფეხურით აინაცვლეს. ვიტელთა კაპიტან **დავით დიღმელაშვილთან** ინტერვიუც აქედან დავიწყეთ...

ანუ რა ეწყინა ვიტ ჯორჯიას

— „ვიტ ჯორჯია“ და „ამერი“ დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები არიან — რის ხარჯზე იმარჯვა ამ მატჩში „ვიტ ჯორჯიამ“?

— ალბათ შორიდანაც ჩანდა, რომ ჩვენ უფრო გვინდოდა მოგება — ამ კონკრეტულ შეხვედრაში ჩვენ უფრო მეტი მოტივაცია გვქონდა.

— რა განაპირობებდა თქვენს ასეთ მოტივაციას?

— რამდენიმე ფაქტორი. ჯერ ის, რომ „ამერი“ ამ მატჩამდე ჩემპიონატში დაუმარცხებელი იყო. კიდევ ის, რომ „ამერს“ „ვიტ ჯორჯიაზე“ უფრო აქებდნენ — ყველა აღნიშნავდა იმას, რომ „ამერმა“ უეფას თასზე „ჰერტასთან“ ფრე ითამაშა, ხოლო ჩვენ რომ მოვუგეთ „არტმედიას“, ამაზე თითქმის არავინ ლაპარაკობდა, რაც, ცოტა არ იყოს, გვწყინდა. მესამე ფაქტორი კი ის იყო, რომ „ამერთან“ გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობას გავუმჯობესებდით. ერთი ხანობა „ამერს“ რვა ქულით ჩამოვრჩებოდით, ახლა კი დავეწიეთ.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ძალიან ხშირია გუნდების უკმაყოფილება მსაჯობით...

— ზოგადად, მსაჯობაზე სალაპარაკო დღესაც ბევრია. კონკრეტულად ამ მატჩში კი, ვფიქრობ, მსაჯმა რაც იცოდა, ისე იმსაჯა — ორივე მხარეს დაუშვა შეცდომები.

— როგორ ფიქრობ, ჩვენს ჩემპიონატში მსაჯობა დიდ გავლენას ახდენს გუნდების საბოლოო შედეგებზე?

— მსაჯობის ფაქტორი კვლავაც მნიშვნელოვანია, მსაჯს მართლაც შეუძლია იმოქმედოს ამა თუ იმ გუნდის საბოლოო შედეგზე. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები კი არის, მაგრამ პრობლემას საფუძვლიანად უნდა მიხედვა, რაც, რა თქმა უნდა, ფეხბურთელების გადასაწყვეტი არ არის.

— მიმდინარე სეზონში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?

— ყველაზე ნორმალურ გუნდად „ზესტაფონი“ მიმაჩნია — ვფიქრობ, ფეხბურთელთა კონტინგენტიდან გამომდინარე და იმით, რომ სწორი გზით მიდიან, ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი ამ გუნდს აქვს.

— „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონო შანსებზე რას იტყოდი?

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა გუნდი ფეხბურთელებს. ბირთვიდან ერთი ფეხბურთელიც რომ გამოგვაკლდეს, ჩემპიონობა ძალიან ძნელი იქნება.

— წინა სეზონში „ვიტ ჯორჯია“ ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — ოთარ მარცვალაძის და დავით იმედაშვილის დანაკლისი უკვე შევსებულია?

— იმედაშვილი, ფაქტობრივად, სრულფასოვნად შეცვალა გიორგი დათუნაიშვილმა, ვისაც იმედაშვილის დარად ბევრი გოლი გააქვს. მარცვალაძის წასვლით გამოწვეული დანაკლისი კი გუნდში ჯერაც შეუვსებელია.

— „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონო ბრძოლაში ალბათ ისიც უშლის ხელს, რომ საავარჯიშო პირობებით რამდენიმე კონკურენტს ჩამოუვარდება...

— ამ მხრივ, „ვიტ ჯორჯია“ კი ჩამოუვარდება „ამერს“, „დინამოს“, „ტორპედოს“, მაგრამ, როცა სეზონის წინ და საშუასეზონო პერიოდში კარგ შეკრებას გაიკლი, ეს ფაქტორი პრობლემას აღარ გიქმნის, მერე უკვე მთავარია, სულ ტონუსში იყო. ისიკაა, რომ ნაკრების თამაშებით გამოწვეულ შესვენებებისას ოთხდღიან შეკრებებს ვაწყობთ ხოლმე. ფეხბურთელების შერჩევითაც არავისზე ნაკლებნი არ ვართ.

— თანაგუნდელ გიორგი ფეიქრიშვილთან ერთად რუსეთის პირველი დივიზიონის „ურალში“ აპირებდა გაღასვლას — რა სტადიაზეა ეს სავარადო ტრანსფერი?

— „ურალში“ ნაღდად არ წავალ.

დავით თავართქილაძე

ვიეირას ევროპის და ზესტაფონის სჯერა

„ზესტაფონის“ ბრაზილიელი ახალწვეული ჟილვან გომეშ ვიეირა საქართველოში ჩამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ევროსარბიელზე თამაშის სურვილს ასახელებს და მიაჩნია, რომ ქართულ კლუბებს ევროპაში წარმატების პოტენციალი აქვთ. ვიეირამ იმერულ კლუბში თავისი პირველი გოლის გატანაც მოასწრო — თასზე „ამერს“ გაუტანა და ჩვენც ამ მატჩით დავიწყეთ საუბარი...

— „ამერი“ კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენც კარგად ვითამაშეთ. მწვრთნელმა პრესინგი დაგვავალა, რამაც ძალიან მალე გამოიღო შედეგი — უკვე მეოცე წუთისთვის 4:0 ვიგებდით. გოლი კი მართლაც ლამაზი გამომივიდა — კვასხვაძის ჩაწოდებული ბურთი იონანიძემ დამითმო და თავით შევაგდე.

— რატომ გადაწყვიტე საქართველოში ჩამოსვლა?

— ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატი ნორმალური დონისაა. „ზესტაფონიც“ კარგი გუნდია, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს და ეს ძალიან მომწონს.

— ცოტა ხნის წინ თბილისის „დინამოში“ იყავი...

— „დინამოში“ მხოლოდ სამი თვე ვითამაშე და მერე იქიდან წამოვედი. ახლა კი „ზესტაფონში“ ყოფნით კმაყოფილი ვარ.

— ქართულ ფეხბურთზე კიდევ რისი თქმა შეგიძლია?

— ბრაზილიაში გაცილებით ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე საქართველოში. თუმცა „ზესტაფონი“ საკმაოდ კომბინაციურ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს...

— ზესტაფონში ცხოვრებას როგორ შეეგუე?

— კარგი ქალაქია. აქ უკვე მეგობრებიც მყავს, თან ჩემი თანამემამულე სანტოსიც ხომ ჩემთანაა. ვმეგობრობ დინამოელ ამბროზიოსთანაც. მეორე წრის დაწყებამდე ბრაზილიაში ვაპირებ ჩასვლას — ჩემი მეგობარი გოგონა უნდა ჩამოვიყვანო.

სალომე ხარატიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

I წრე. 17 ტური

მგლები 3:0 გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 3:0 სპარტაკი
გურია 4:1 ჩიხურა 2
მეშაძრე 2:2 ამერი 2
ოლიმპი 0:0 რაჭა
მეშახტე 0:0 ზესტაფონი 2
სამტრედია 0:1 მესხეთი
მაღაროელი 2:0 ნ. დინამოელი
დინამო 2 6:1 მერცხალი

მგლები	17	14	2	1	32:8	44
მესხეთი	17	11	4	2	32:11	37
მეშაქრე	17	8	7	2	23:15	31
ვიტ ჯორჯია 2	17	8	4	5	30:13	28
ოლიმპი (თბ)	17	8	4	5	30:18	28
გაგრა	17	8	2	7	23:24	26
დინამო 2	17	7	4	6	34:18	25
მაღაროელი	17	6	7	4	22:17	25
მეშახტე	17	7	3	7	24:24	24
ამერი 2	17	6	6	5	27:23	24
ნ. დინამოელი	17	7	2	8	22:22	23
ჩიხურა 2	17	6	3	8	19:24	21
ზესტაფონი 2	17	5	6	6	15:15	21
სამტრედია	17	4	5	8	18:29	17
სპარტაკი	17	4	3	10	9:25	15
გურია	17	3	3	11	19:42	12
რაჭა	17	2	6	9	13:31	12
მერცხალი	17	2	3	12	14:44	9



ასათიანს ექიმებმა იმედი გამოუწერეს

მალხაზი მოსკოვში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი დღეს გერმანიიდან მოსკოვში ჩავა — მალხაზს გერმანელმა ექიმებმა დიდი იმედი და სარეაბილიტაციო პროგრამა გააყოლეს თან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ასათიანის ტრავმას მალე ბოლო მოეღება.

მალხაზი თავს უკვე კარგად გრძნობს, სიარული აღარ უჭირს და ექიმებიც კმაყოფილები არიან — გამოჯანმრთელების პროცესი კარგად და დაუბრკოლებლად მიდის.

შეგახსენებთ, რომ ასათიანი დაახლოებით ორი თვის წინ რუსულ პრემიერლიგაში, ცეესკასთან მატჩში დაშავდა და კლუბმა სამკურნალოდ გერმანიაში, რუიტის სამედიცინო ცენტრში გაუშვა — მალხაზმა გერმანელ ექიმებთან თვეზე მეტი გაატარა და ახლა მოსკოვში გაგრძელებს დანიშნული განრიგით ვარჯიშს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ უასათიანოდ მოთამაშე „ლოკომოტივმა“ პრემიერლიგის ბოლო ტურში შინ „როსტოვი“ 1:0 დაამარცხა და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა.

კახა ზალამგერიძე

ახალი კლუბები კი არა... მუმუ გერმანიაშია

ორი თვეა, ტრავმირებული დავით მუჯირი ვერც საქართველოს ნაკრებს ეხმარება და ვერც სამარის „კრილია სოვეტოვს“.

ავსტრიიდან რუსეთში გადაბარგებულმა „მუმუ“ პრემიერლიგას მალევე აუღო ალღო და ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ იქცა. ახლა სამარელთა მთავარ მწვრთნელ გაჯი გაჯიევის ერთადერთი საფიქრალი ქართველი ფეხბურთელით დაინტერესებული სხვა კლუბების შეტევების მოგერიებაა. ყოველ შემთხვევაში, გაჯიევის თქმით, მსურველები ბევრია, თუმც სამარელები თავიანთ ლიდერს ვერ თმობენ.

კონკრეტულად რომელი კლუბები არიან მუჯირით დაინტერესებულნი, გაჯიევს არ უთქვამს. ჩვენც ამის გარკვევას შევეცადეთ და თავად ფეხბურთელს რომ ვერ დავუკავშირდით, მამამისს, ერთ დროს ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ მცველ დავით მუჯირს შევეხმიანეთ...

„ჯერჯერობით კლუბის გამოცვლაზე ლაპარაკი არ არის. თანაც დათოს ტრავმა აწუხებს და ახლა მხოლოდ ფეხის მორჩენაზე ფიქრობს. მართალია, ვარჯიში უკვე განახლა, მაგრამ სრულად ვერ იტვირთება, მხოლოდ დარბაზში წაივარჯიშა რამდენჯერმე. დათო ახლა გერმანიაშია, იქაურ ექიმებს გაესინჯება და, იმედია, მალე ბოლომდე გამოჯანმრთელდება“.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ბაბრი კეთილაძის ფოტო

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	მესინა 1:0	0	სათადარიგო	6	1	15
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ბოხუმი 2:1	90	ვერ გაიტანა პენალტი	11	3	1
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ოფენბახი 1:3	90	1 გოლი	13	2	12
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	ოფენბახი 1:3	0	სათადარიგო	4	0	12
დავით სირაძე	აუე	შ	პადერბორნი 1:0	90	გააფრთხილეს	12	1	5
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	პფულენდორფი 2:5	0		9	0	16
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	ს	ციურიხი 2:3	0		3	0	5
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი		ტური გამოტოვა			11	0	16
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	ს	ჰერენვენი 1:3	90	1 გოლი	12	7	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ვიტესი 2:0	0		1	0	4
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	როსტოვი 1:0	0	ტრავმირებულია	14	0	3
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	შ	როსტოვი 1:0	0		4	0	3
მიხეილ აშვეთია	რუბინი	შ	ამკარი 1:0	6	შეცვლაზე ითამაშა	14	0	5
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	ამკარი 1:0	0	ტრავმირებულია	4	0	5
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ამკარი 1:0	90		17	0	5
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	ამკარი 1:0	0	სათადარიგო	3	0	5
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	ამკარი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
ბექა ჟღენტი	ტორპედო	შ	შინიკი 1:1	0		0	0	15
დავით მუჯირი	კრილია	შ	სპარტაკი 0:1	0	ტრავმირებულია	18	4	10
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	ს	ნალჩიკი 0:0	90		7	0	7
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	ლუჩ-ენერგია 0:0	0	ტრავმირებულია	23	3	9
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	შ	ლუჩ-ენერგია 0:0	0	დისკვალიფიცირებული	26	0	9
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	შ	ლუჩ-ენერგია 0:0	90		6	1	9
ალექსანდრე ამისულაშვილი	შინიკი	ს	ტორპედო 1:1	0		17	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	ს	ტორპედო 1:1	37	შეცვლაზე ითამაშა	14	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	ჩერნომორეცი 3:2	0	ტრავმირებულია	2	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	ჩერნომორეცი 3:2	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	1
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	დნიპრო 1:1	79	შეცვალეს	13	2	8
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	შახტარი 0:3	90		14	3	12
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	შახტარი 0:3	0	ტრავმირებულია	9	3	12
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	შახტარი 0:3	0		0	0	12
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	დინამო 2:3	90	გააფრთხილეს	13	0	9
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	შ	დინამო 2:3	90	გააფრთხილეს	11	0	9
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	შ	დინამო 2:3	77	შეცვალეს	9	0	9
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	შახტარი 0:1	90		16	8	9
ლადო ბურდული	კრივბასი	შ	შახტარი 0:1	72	შეცვალეს	15	1	9
კახა ალადაშვილი	დნიპრო	ს	მ. დონეცკი 1:1	70	შეცვალეს	6	0	5
რევაზ ბარაბაძე	დნიპრო	ს	მ. დონეცკი 1:1	1	შეცვლაზე ითამაშა	3	0	5
ჯაბა კანკავა	არსენალი	შ	ვორსკლა 1:0	90		13	4	4
ლაშა ჯაკობია	არსენალი	შ	ვორსკლა 1:0	0	ტრავმირებულია	5	2	4
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	მეტალისტი 0:1	45	შეცვალეს	12	0	16
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	შ	ტავრია 1:0	0		1	0	13
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	შ	ატრომიტოსი 0:0	90		8	0	13
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	პაოკ 1:0	90		9	0	7
დანია. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი		ტური გამოტოვა			2	0	9
პოლონეთი. თასი								
მამია ჯიქია	ლოძი	ს	გკს 4:1	77	შეცვალეს			

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ბლატერი ირანს: ხუთამდე დავითვლი

ფიფამ ირანს დროებით მოუხსნა საერთაშორისო დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ აზიური ქვეყნის ნაკრები კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობას შეძლებს. დუბაიში მყოფმა მსოფლიო ფეხბურთის შეფმა ზეპ ბლატერმა განაცხადა:

„დისკვალიფიკაცია იმიტომ მოვუხსენით, რომ გუნდმა აზიურ თამაშებში მიიღოს მონაწილეობა“.

ბლატერმა ბრძანა, რომ დისკვალიფიკაციას მოჰყვა ევროპის ქვეყნებში ირანის ელჩთა და ამ ქვეყნის პოლიტიკოსთაგან „შეშფოთებული სატელეფონო ზარები“, თუმცა ზუსტად რა ითქვა და როგორ, არ მოუყოლია.

„ირანელებთან შევთანხმდით, რომ არსებობს ძირითადი პრინციპები, რომელთაც პატივი ყველამ უნდა სცეს. ჩვენ მათ 5 დეკემბრამდე მივეცით ვადა და იმავდროულად, აზიის ფეხბურთის კონფედერაციასთან ერთად დავრთეთ კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობის ნება. თუ ირანელები ვითარების ნორმალიზაციის ჩვენეულ გზას დაეთანხმებიან, დისკვალიფიკაციას, ბუნებრივია, ერთხელ და სამუდამოდ მოვუხსნით, მაგრამ თუ დავინახავთ, რომ დაპირებები დაპირებებად დარჩა, მაშინ ეს აზიის თასის კენჭისყრაზე იმოქმედებს“ — თქვა ბლატერმა.

მოგახსენებთ, რომ ხსენებული კენჭისყრა 19 დეკემბერსაა დანიშნული, ხოლო კონფლიქტის არსი იმაში გახლავთ, რომ ირანის ხელისუფლების ჩარევით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი მოჰამედ დადკანი თანამდებობიდან მოხსნეს, რაც ფიფასთვის სრულიად მიუღებელია.

პაპუნა კედია

პსჟ-ს ფანები ჟულიენ კემენერს გლოვობენ

დამხმარე მოწმე

უფორმო და უნიშნო პოლიციელი

ტრაგედია, რომელიც ხუთშაბათ საღამოს პარიზში დატრიალდა, „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია: უეფას თასზე „პარი სენ ჟერმენისა“ და თელ ავივის „ჰაპოელის“ მატჩის შემდეგ, ფრანგმა პოლიციელმა 32 წლის ანტუან გრანომორტმა დაინახა, რომ მასპინძელი გუნდის გულშემატკივართა დიდი ჯგუფი მავან ებრაელ ქომაგს თავს ესხმოდა და მისი გადარჩენის მიზნით თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი მოკლა. შაბათს ანტუან გრანომორტი დასაკითხად გამოიძახეს და გაუშვეს. ცნობისთვის: გრანომორტი შავკანიანია.

გასაკვირი არ არის, რომ ინფორმაცია, რომელიც პირველივე დღეს გავრცელდა ოდნავ განსხვავდება იმისგან, რასაც სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების დახმარებით დღეს ვეცნობით. მაგალითად, თავიდან წერდნენ, რომ აგრესიულ პარიზელ გულშემატკივართა ჯგუფი 150 კაცისაგან შედგებოდა, ახლა კი ნაკლებს, 100 კაცს ასახელებენ. თუმცა, ბუნებრივია, თითებით არც ეს 100 კაცი ეყოლება ვინმეს დათვლილი. თავიდან ამბობდნენ, რომ პოლიციელის მოკლული ახალგაზრდა 20 წლისა იყო, დაზუსტებული ცნობებით კი იგი 25 წლის ჟულიენ კემენერი გახლდათ, თუმცა ვფიქრობთ, ამას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. გაირკვა, რომ ებრაელი ქომაგი, რომელიც გრანომორტმა დაიცვა, გახლდათ 23 წლის იანივ ჰაზუტი, რომელიც ისრაელიდან სულაც არ ყოფილა ჩამოსული, ის თურმე, საფრანგეთში ცხოვრობს და სტადიონზე ისტორიული სამშობლოს გუნდის მხარდასაჭერად იყო მისული. თავიდანვე გაცნობეთ, რომ პოლიციელი ჟულიენ გრანომორტი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. საფრანგეთის პროკურატურამ განაცხადა, რომ იგი მოწმეთა ჩვენების შესაბამისად, აშკარად მოქალაქისა და თავის გადარჩენის მიზნით მოქმედებდა, რის გამოც საქმეში „დამხმარე მოწმის“ სტატუსით გავა, რაც ნაკლებ პასუხისმგებლობას ნიშნავს, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც მოსამართლეზე იქნება.

შეგახსენებთ, რომ ჟულიენ გრანომორტმა კიდევ ერთი ადამიანი დააზიანა, 25 წლის ჭუნირ დუაშე დაჭრა. ძიებას ეჭვი აქვს, რომ დუაშე იმავე ტყვიამ დააზიანა, რომელმაც კემენერი მოკლა. პოლიციელმა ეს საბედისწერო ტყვია მაშინ გაისროლა, როდესაც ბრბომ „მაკდონალდსის“ რესტორანთან მას ალყა შემოარტყა.

პროკურატურაში დაკითხეს „პარი სენ ჟერმენის“ ერთი ქომაგიც, რომელსაც შესაძლოა, ბრალად ედება ანტისემიტური ძალადობა. პოლიციელზე თავდასხმა და რესტორნის ფანჯრების მტვრევა. კიდევ ორი პარიზელი ფანი გაუშვიათ, ოღონდ სასამართლოზე დაიბარებენ.

„ჟულიენ გრანომორტი პოლიციელთა მოვალეობის შესაბამისად გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს მიეშველა და შემდეგ თავის გადარჩენის მიზნით იმოქმედა“ — მოჰყავს სააგენტო AFP-ს პოლიციის ოფიცრის პატრის რიბეიროს სიტყვები. მოწმეები იმასაც ამბობენ, რომ ბრბო, რომლის გამოც დატრიალდა ტრაგედია, გრანომორტს რასისტულ შეურაცხყოფასაც აყენებდა.

საფრანგეთის რადიომ ვითარებაში გარკვევა დამოუკიდებლად სცადა და ფანებს ინტერვიუები ჩამოართვა. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ გრანომორტს პოლიციელობისა არაფერი ეტყობოდა, არც ფორმა ეცვა და არც ნიშანი ეკეთა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ კი „პარი სენ ჟერმენის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ პარიზული ფეხბურთი რასისტული მინარევისგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს:

„ჩვენ ტრიბუნაზე რასისტები, ნაცისტები და ფაშისტური მისალმებები აღარ გვჭირდება. შავკანიანმა ფეხბურთელებმა ბურთთან ყოველი მიკარების დროს „მაიმუნის ხმები“ აღარ უნდა ისმინონ“.

პაპუნა კედია

ასეთი სტადიონის ასეთი მაყურებლის ასეთი გუნდი

ადრიანო დაბრუნდა

„ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი კმაყოფილია, რომ კვირის დაპირისპირებაში მისმა გუნდმა კონკურენტ „პალერმოს“ მოუგო და ოთხი ქულით ჩამოიტოვა.

შავ-ლურჯებმა ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვეს, რაც, სხვათაშორის“ კლუბის რეკორდია.

„ჩემი ბიჭების გარჯით ძალიან კმაყოფილი გახლავართ — განაცხადა მანჩინიმ — ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი მატჩი გველოდა და ძალიან კარგადაც ვითამაშეთ. სკუდეტო? დიახ, ახლა სერია A-ს ცხრილის სათავეში ვართ, მაგრამ პირველობა დიდხანს გრძელდება და ჯერ ყველაფერი წინ არის. ჩემი აზრით ტიტულისთვის ბოლომდე ჩვენ, „პალერმო“ და „რომა“ ვიბრძოლებთ“.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სიცილიელებთან შეხვედრაში მანჩინიმ ერნან კრესპოს მაგივრად, სრულიად მოულოდნელად ათამაშა ბრაზილიელი ადრიანო.

„ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ადრიანო ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ საგანგებოდ იქნებოდა მოტივირებული და კრესპოს დასვენების საშუალება მივეცით. ის უკვე კარგა ხანია დაუსვენებლად თამაშობს. როგორც თამაშმა გვაჩვენა, ჩვენი ვარაუდი მართალი გამოდგა. მან დიდი თაგამოდებით აკეთა თავისი საქმე და მაშინაც კი, როდესაც უკიდურესად დაღლილი გახლდათ, „პალერმოს“ კარს სახიფათოდ უტევდა. თუკი თამაშს გავაანალიზებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თამაში პირველ ტაიმში მოვკალით. დღეს გამორჩევით ვერავის გამოვარჩევ. მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა. „ინტერი“ საუცხოო იყო, მაგრამ „პალერმოც“ იმსახურებს სერია A-ს ცხრილში მაღალ ადგილს“.

მანჩინის განცხადების მიუხედავად, ტელეკომპანია სქაი იტალიამ მაინც გამონახა ერთი მოთამაშე, რომელიც სხვებზე მაღლა დააყენა და მატჩის გმირი უწოდა. ეს არის დეიან სტანკოვიჩი, რომელმაც მატჩის შემდგომ განაცხადა:

„მინდა მთელი „ინტერი“ შევაქო, პირველ ტაიმში ფაქტობრივად უნაკლოდ ვითამაშეთ. ასეთ ჩინებულ სტადიონზე, ასეთი საუცხოო მაყურებლის ასე გახარება მხოლოდ ძლიერ გუნდს შეუძლია. თავად კმაყოფილი გახლავართ იმით, რაც შევამჩნიე, კერძოდ კი იმ პროგრესით, რომელიც ჩვენს გუნდს ყველა ასპექტში ეტყობა. თითოეული ჩვენთაგანი ნებისმიერ პოზიციაზე სათამაშოდ მოვემზადეთ და სწორედ ამით ვჯობივართ მოწინააღმდეგეებს. დღეს „პალერმოს“ ექვსი ქულით ვუსწრებთ, ოთხით ვართ „რომაზე“ წინ და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდანაც გავედით, ასე რომ, კმაყოფილების საბაბი გვაქვს“.

პაპუნა კედია

ვაჭრობა ფილიპსზე

„ჩელსი“ შონ-რაიტ ფილიპსის გაყიდვას აპირებს, რადგან ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამის შესახებ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა განაცხადა. მყიდველი კი „ჩელსის“ თანაქალაქელი „ვესტ ჰემია“, რომელსაც პრემიერლიგაში საქმეები ცუდად მისდის და გაძლიერება სჭირდება. შეგახსენებთ, რომ „ჩაქუჩების“ აქციათა საკონტროლო პაკეტი რამდენიმე დღის წინ ისლანდიელმა ბიზნესმენებმა შეიძინეს.

„ვესტ ჰემი“ 10 მილიონი გირვანქის გადახდაზე ყაბულსაა, რაც კლუბისთვის სარეკორდო თანხა იქნება. მათ ერთი წლის წინ „ნორვიჩიდან“ დინ ეშტონი შეიძინიეს 7 მილიონ 250 ათასად. ვესტჰემელების 10 მილიონიანი წინადადება „ჩელსის“ მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა, რადგან თავად შონ-რაიტ ფილიპსის სანაცვლოდ 2005-ის ივლისში 21 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. პიტერ კინიონი: „ვადასტურებ, რომ „ვესტ ჰემი“ ფილიპისის შეძენით დაინტერესდა და ოფიციალურადაც მოგვმართა. არ ვიცი, როგორ გადაწყდება ამ ტრანსფერის საქმე, მაგრამ გვსურს, რომ მოვრიგდეთ“.

ირაკლი ნინიძე

რონალდინიოს კეფაზეც თვალები აქვს

„ვილიარეალთან“ რონალდინიოს მიერ შესრულებულ საუცხოო მაკრატელას შეიძლება წლის საუკეთესო გოლად აღიარებაც მოჰყვეს. ბარსელონაში კი კიჭას გოლს კლუბის ისტორიაში უკვე ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლიან. და აცხადებენ, რომ რონიმ „კამპ ნოუს“ დაუვიწყარი სანახაობა აჩუქა. საკუთრივ ბრაზილიელისთვის ეს „ბრწყინვალე შეგრძნება“ იყო. ასე რონალდინიომ ესპანური TV3-ს პროგრამა „გოლ ა გოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

რონალდინიომ გოლის გატანის ეპიზოდი გაიხსენა: „იმ მომენტში მცველი ჩემკენ გამორბოდა და ბურთი რომ შემენარჩუნებინა, მისკენ ზურგით შევტრიალდი. როცა ბურთი უკვე სათანადო სიმაღლეზე გახლდათ, მაკრატელას დარტყმა გადავწყვიტე და და ვარაუდში არც შევმცდარვარ“. ბარსელონელთა ლიდერი „ვილიას“ კარში ბრწყინვალე გოლით აღფრთოვანებულია. „ჩემთვის ეს გოლი ისტორიაში შესვლის ტოლფასია. ყოველთვის ასე გატანაზე ვოცნებობდი და გუშინდლამდე მსგავსი შესაძლებლობა არ მომეცა. ბრწყინვალე შეგრძნებაა. ამ გოლს არასდროს დავივიწყებ. მას შემდეგ, რაც „ბარსელონაში“ მოვედი, ბედი ყოველდღე რაღაც სურპრიზს მთავაზობს და ახლაც ბავშვობის ოცნების ახდენის შესაძლებლობა მომცა“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

როცა ხავიმ რონალდინიოს ჩააწოდა, საეჭვოა, ვინმეს „კამპ ნოუზე“ ან სხვაგან ეფიქრა, კიჭა ახლა მაკრატელას გაჩარხვსო. რონი კი „ვილიარეალის“ საწყალ მეკარე ბარბოსას მთელი თავისი გენიალურობით დაატყდა თავს — მარცხენას მაგივრად საყრდენი მარჯვენა ფეხი აიქნია ჰაერში და გაშტერებული სტადიონის თვალწინ გოლი შეაგდო...

„გოლ ა გოლთან“ საუბარში რონალდინიომ თქვა, რომ გოლის გატანა მისთვის უმთავრესი არ არის. „ჩემი მთავარი მიზანი ბარსელონელი ფორვარდის მთავარმეგოლედ გადაქცევაა. რა თქმა უნდა, გატანილი გოლებით კმაყოფილი ვარ, თუმცა უფრო მნიშვნელოვან საქმედ თანაგუნდელთათვის პასის მიცემა მიმაჩნია“ — თქვა ბრაზილიელმა.

„კამპ ნოუს“ კარკვლავის თქმით, იგი საუკეთესო ფორმაში არ არის, თუმცა სპეციალური პროგრამით ვარჯიშობს, რათა წელი კარგად დაასრულოს. რონალდინიომ თანაგუნდელი ანდრეს ინიესტაც შეაქო: „ინიესტა ყოველ მატჩში როგორც მობურთალი, სულ უფრო [illegible] იზრდება. როცა „ბარსელონაში“ მოვედი, უკვე მაშინ შევამჩნიე, რომ მას ფენომენალური ნიჭი ჰქონდა, თუმცა იმ დროს თამაში ცოტა ხნით უწევდა“.

„ბარსელონა“ 5 დეკემბერს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ვერდერს“ ხვდება და რონალდინიომაც „კამპ ნოუს“ ინჩადას მოუწოდა, მნიშვნელოვანი თამაშის დროს გუნდი გავამხნევოთო: „ახლა გულშემატკივრის ქომაგობა ყველაზე მეტად გვჭირდება. ვერ წარმომიდგენია „ბარსელონას“ ინჩასი, რომელსაც იმ დღეს სტადიონზე მისვლა შეეძლოს და ეს არ გააკეთოს“. კიჭამ ფაბიო კანავაროს „ოქროს ბურთის“ მიღება მიულოცა და განაცხადა, რომ გოლების გასატანად ბევრს შრომობს: „გოლებს შეგდება რთული საქმეა, თუმცა სტანდარტული მდგომარეობიდან გატანა განსაკუთრებულად რთულია და ჯარიმების შესრულებას ვარჯიშებზე ბევრ დროს ვუთმობ“.

ლადო ხომერიკი

ნათლია კაიზერი: მირო კლოზინიოა



„იგი ძალიან კარგად თამაშობს, ისე კარგად, რომ შეიძლება, „კლოზინიოც“ კი შევარქვათ“ — განაცხადა ფრანც ბეკენბაუერმა ბრემენელ მიროსლავ კლოზეზე და მისი ფრაზა წამსვე მთელმა გერმანიამ აიტაცა. კლოზე და მისი „ვერდერი“ 5 დეკემბერს „ბარსელონასთან“ რთულ სჩემპიონთალიგო ომს გადაიხდიან და თუ „კამპ ნოუზე“ არ წააგეს, მერვედფინალში ადგილს გაინაღდებენ. „ვერდერი“ ამ ბრძოლას უშიშრად ელის, ყოველ შემთხვევაში, იქაური პრესა ასე აცხადებს. „მუსიკოსების“ გულშემატკივრებს საკუთარი გუნდის ვარსკვლავებისა და განსაკუთრებით მირო კლოზეს იმედი აქვთ. გასული მუნდიალის საუკეთესო მეგოლე წლეულს ბუნდესლიგის მთავარმეგოლეობისთვისაც იბრძვის — 12 მაჩტში უკვე 8 გოლი შეაგდო. საერთოდ კი, კლოზეს ბუნდესლიგაში ჩატარებული 180 შეხვედრაში 92 გოლი გაუტანია.

გერმანიაში კლოზეს თამაშის სტილს ბრაზილიურს უწოდებენ. „არმინიასთან“ მატჩში მოედანზე „ვერდერის“ ბრაზილიელი დიეგო არ გახლდათ, თუმცა მირომ თავისი ფინტებით მაყურებელს დაუმტკიცა, რომ ნამდვილი ოკეანისგაღმელია. „მიროსლავ კლოზე „არმინიასთან“ ჭეშმარიტ ბრაზილიელად მოგვევლინა — ფინტები, ლამაზი ბურთაობა, ქუსლით შეგდებული გოლი — ყოველივე ამან გულშემატკივრები აღაფრთოვანა“ — წერდა მეორე დღეს საკვირაო „ბილდ ამ ზონტაგი“. ფორვარდის თამაშმა მეტოქე „არმინიას“ მწვრთნელ ტომას ვონ ჰესენიც გაოცა: „ვაღიარებ, რომ მისი თამაშის შემხედვარეს ხანდახან მავიწყდებოდა, მოწინააღმდეგ გუნდის თავკაცი რომ ვიყავი. კლოზე, უბრალოდ, ფენომენალურია!“

ნიჭიერი შეგირდისადმი კეთილი სიტყვები არც „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შაფმა დაიშურა: „კლოზე შესანიშნავ ფორმაშია და ბრწყინვალედ ბურთაობს. ხალხი, რა თქმა უნდა, მის გოლებს უფრო ამჩნევს, მაგრამ მე უფრო ის მიხარია, რომ მირო მეგოლეობასთან ერთად, გუნდის მექანიზმთან შერწყმასაც ჩინებულად ახერხებს. კლოზეს საგოლე პასები გაიხსენეთ“ — განაცხადა „მუსიკოსების“ თავკაცმა.

ცხადია, პოლონური წარმოშობის ბომბარდირის სიჩაუქეს ყველაზე მეტად მისი თანაგუნდელები აფასებენ. „მიროს გოლები შესანიშნავია, მაგრამ მხოლოდ მეტოქის კარის აკლებით მას ვერ შევაფასებთ. კლოზე ჩვენთვის წინსვლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“ — თქვა „მუსიკოსთა“ ერთ-ერთმა ავტორიტეტმა ტორსტენ ფრინგსმა. ტიმ ბოროვსკიც ამ აზრს იზიარებს: „კლოზე მისი გოლებით კი არა, თანაგუნდელთათვის მიცემული დროული პასებით გამოირჩევა. მიროს ტალანტს მხოლოდ მეგოლეობით ვერ ამოვწურავთ.“ თავად ნაქები მეგოლე კი „არმინიასთან“ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შესახებ თავმდაბლობას იჩენს: „კარგი თამაში იყო. პირადად ჩემს შესახებ ვერაფერს გეტყვით, ჯობია, სხვებმა შეამფასონ. ცხადია, გოლების გატანა მიხარია, მაგრამ „ვერდერის“ გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია“ — აღნიშნა „კლოზინიომ“.

ლადო ხომერიკი

სამპედრო კუნძულ მალიორკასთან ჩაიძირა

ესპანური პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „ხიმნასტიკის“ უფროსობამ ლუის სეზარ სამპედროს მწვრთნელობა დაატოვებინა. სამპედრო „მალიორკასთან“ 2:3 წაგების შემდეგ დაითხოვეს. „ხიმნასტიკი“ პრიმერას ბოლო ადგილზეა და საამსეზონოდ მხოლოდ ერთი მატჩი აქვს მოგებული. სოსიედადელი ხოსე მარი ბაკეროს შემდეგ ლუის სეზარ სამპედრო წლეულს რიგით მეორე გათავისუფლებული თავკაცია.

დამრიგებლის მოხსნის შესახებ ჟურნალისტებს „მალიორკასთან“ მატჩის შემდეგ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე „ხიმნასტიკის“ პრეზიდენტმა ხოსე მარია ანდრეუმ ამცნო. წესით, პრესკონფერენცია სამშაბათს უნდა გამართათ, მაგრამ კლუბის დირექტორატის დაჟინებული მოთხოვნით სამპედროსთან გამომშვიდობება დაუყოვნებლივ, კუნძულელებთან მარცხიანი შეხვედრის მერე შედგა.

„გუნდი ძალიან ცუდ შედეგებს უჩვენებს. დირექტორატმა ამის შესახებ იმსჯელა და გადავწყვიტეთ, რომ ახლა „ხიმნასტიკში“ სამწვრთნელო ცვლილებებია საჭირო“ — განაცხადა პრეზიდენტმა ანდრეუმ. ლუის სეზარ სამპედრო კი კატალონიურ კლუბში სამი წლის წინ მივიდა და საამსეზონოდ „ხიმნასტიკის“ პრიმერადივიზიონში დაწინაურებაც შეძლო. თუმცა უმაღლეს ლიგაში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

პრეზიდენტმა ისიც თქვა, სამპედროს შემცვლელის ძებნა გუნდის სპორტულ დირექტორ ხოსე რიკარტს დავავალეო. დროებით კი „ხიმნასტიკს“ ყოფილი მწვრთნელის თანაშემწე კიკო რამირესი და ფიზმომზადების მწვრთნელი ხავიერ ბარტოლი უხელმძღვანელებენ.

ტარაგონას „ხიმნასტიკს“ ამჟამად პრიმერაში ოდენ 5 ქულა აქვს, საამსეზონოდ 9 მატჩი წააგო, ორი ფრედ დაასრულა და 1 მოიგო (1:0) პირველ ტურში „ესპანიოლთან“.

მედიის ცნობით, ლუის სეზარ სამპედროს ბედს ძალე „ბილბაოს“ მწვრთნელი ფელიქს სარიუგარტეც გაიზიარებს. ეს კაცი უფსკრულს პირასაა. ბასკები თამაშს თამაშზე აგებენ და შეიძლება „ატლეტიკს“ ჯერ არნახული უბედურება დაემართოს — პრიმერადივიზიონიდანაც გავარდეს... სირიუგარტეს საკარაუდოდ, ხოსე მანუელ ერნალ „მანე“ შეცვლის.

ლადო ხომერიკი

დელ პიეროს მეჯვარე

ვალერიმ ისე ითამაშა, რომ ზემანს ვალერიანი დასჭირდა



ბოჟინოვმა დუბლი ფრანჩესკო რომეოს ხსოვნას მიუძღვნა

ტურინის „იუვენტუსს“ კვლავ არაერთი წამყვანი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული, მაგრამ შაბათს „ლეჩესთან“ მატჩში „ბებერი ქალბატონის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გაიბრწყინეს და საბოლოოდ დიდიე დეშანის გუნდმა „იუვეს“ მოძულე ზდენეკ ზემანის „ლეჩეს“ 4:1 მოუგო.

ეს გამარჯვება ტურინელებმა ფრანჩესკო რომეოს მიუძღვნეს, რომელიც წინა კვირას გარდაიცვალა. რომეო ბოლო 30 წელი „იუვენტუსის“ სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და კლუბი მისი ოჯახიც გახლდათ, სახლიც და ყველაფერი. მას ყველასთან ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა და თბილადაც იხსენებენ.

ამბობენ, თითქმის ყველა „იუვენტუსიდან“ წასული ტურინში დაბრუნებისთანავე, პირველ რიგში, რომეოს მოსანახულებლად მიდიოდაო. მას განსაკუთრებულად ახლო და მეგობრული ურთიერთობა „ბიანკონერის“ კაპიტანთან ალესანდრო დელ პიეროსთან ჰქონდა და მისი მეჯვარეც გახლდათ.

მატჩის გმირად ბულგარელი ვალერი ბოჟინოვი იქცა, რომელმაც თავის ყოფილ გუნდს ცაციათი ორი ლამაზი გოლი გაუტანა, ჯერ საჯარიმოს მისადგომებიდან — მარჯვენა ცხრიანში, მერე კი საჯარიმო დარტყმით ყუმბარისებური გასროლით — მარცხენა ცხრიანში.

ისევ გამოიჩინა თავი რაფაელ პალადინომ, ხოლო წერტილი 87-ე წუთზე ბოჟინოვის ნაცვლად მინდორზე შესულმა, კიდევ ერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ პაოლო დე ჩელიემ დასვა პალადინოს პასით.

როგორც გაირკვა, შესვენებისას ტურინელთათვის რჩევები მხოლოდ დეშანს არ მიუცია. გასახდელში ამჟამად ტრავმირებული დელ პიეროც შესულა და განსაკუთრებით ბოჟინოვი და პალადინო დაურიგებია, რამაც გაამართლა კიდეც.

ვალერი ბოჟინოვი: „ალექსმა მითხრა, ძალიან წინ ნუ წახვალ, თავდასხმასა და ნახევარდაცვას შორის ითამაშეო. ასევე მირჩია, პალადინოსთან უფრო ახლო ვყოფილიყავი და პასები ხშირად გამეცვალა. საბოლოოდ, მეტოქის დაცვაში სივრცეები ვიპოვეთ და მოვიგეთ კიდეც. მატჩის შემდეგ დელ პიეროს მადლობა გადავუხადე. რაც შეეხება ჩემს მეორე გოლს, სანამ ალექსი დაშავდებოდა, ვარჯიშის მერე მასთან ერთად ყოველთვის ვრჩებოდი და საჯარიმო დარტყმის შესრულების საიდუმლოებებს ვსწავლობდი. ახლა, როცა იგი დაშავებულია, დარტყმა ჩემს თავზე ავიღე და ერთხელ გამომივიდა კიდეც“.

„მეორე ტაიმში ჩვენთვის ყველაფერი გაცილებით უკეთ აეწყო. ამისთვის მადლობა მწვრთნელსა და დელ პიეროს უნდა გადავუხადოთ. ალექსის რჩევები მინდორზე გამოვიყენეთ და შედეგს თავადაც ხედავთ. ნამდვილი ვარსკვლავებისა და ჩვენი, ახალგაზრდა ფეხბურთელების შერწყმით დიდი წარმატებების მიღწევა შეგვიძლია“ — თქვა პალადინომ.

პაოლო დე ჩელიე: „ბავშვობიდან ამაზე ვოცნებობდი, ჩვენი ქომაგის თვალწინ გოლი გამეტანა. ეს ჩემი პირველი გოლია ძირითადი გუნდის შემადგენლობაში და უბედნიერესი ვარ. როცა რაფაელეს პასი ვთხოვე და მერე ზუსტი დარტყმაც გამომივიდა, საოცარი გრძნობა დამეუფლა“.

„კარგად დავიწყეთ, მაგრამ „ლეჩე“ საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია და პრობლემები შეგვიქმნა, თუმცა გამარჯვების მაშინაც კი მჯეროდა, როცა გოლი გავუშვით. ბოჟინოვი უკმაყოფილო იყო პირველ ტაიმში საკუთარი თამაშით, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი ბრწყინვალედ გააკეთა. ვალერი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და უკვე ბევრი პლუსი აქვს, მაგრამ კიდევ რაღაც-რაღაცებში უნდა დაიხვეწოს, მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ახალგაზრდების თამაშით, რომლებიც ნელ-ნელა უნდა გაიზარდონ და დიდ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ. მაგალითად, დე ჩელიეს გოლი დიდი სტიმულია სხვებისთვის, რომლებსაც თავის გამოჩენის შანსი მომავალში ექნებათ. რა თქმა უნდა, გამარჯვება რომეოს ეძღვნება, იგი საოცარი ადამიანი იყო. მან კლუბს დიდი სარგებლობა მოუტანა, „იუვენტუსისთვის“ ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო“ — განაცხადა დეშანმა.

„იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ლეგენდარული მცველი ანტონიო კაბრინი: „2008 წლის სკუდეტოზე ლაპარაკი ნაადრევი მეჩვენება. ამისთვის გუნდს 6-7 უმაღლესი კლასის მოთამაშე და 4-5 ნიჭიერი ახალგაზრდა სჭირდება. ჯერ სერია **B** მოვიგოთ და სერია **A**-ს საგზური მოვიპოვოთ, ჩემპიონობაზე მერე ვილაპარაკოთ. მთავარია, კონცენტრაცია არ დავკარგოთ და ასე გავაგრძელოთ“.

გიორგი კაკაბაძე

კარლ-ჰაინც რუმენიგე

ბაიერნმა ჯი დაიწუნა

ყურადღება: „ბაიერნი“ G14-დან გამოსვლაზე ფიქრობს. მიუნხენის კლუბს ეჭვი შეეპარა, რომ ევროპის უმდიდრესი, კლუბების ეს გაერთიანება პირადად მას და საერთოდ კონტინენტის ფეხბურთს რაიმე სარგებელს მოუტანს. ბობოლათა გაერთიანების მძაფრი კრიტიკით „ბაიერნის“ ერთ-ერთი შეფთაგანი და წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კარლ-ჰაინც რუმენიგე გამოვიდა. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რუმენიგემ შეშფოთება გამოთქვა იმის გამოც, რომ ევროპის წამყვანი ლიგები შემოსავლებით სულ მეტად და მეტად განსხვავდებიან, რაც მისი ეჭვით, საბოლოოდ იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ გერმანული გუნდები ევროპულ შეჯიბრებებში კონკურენტუნარიანები აღარ იქნებიან.

„კარგად ავწონ-დავწონით აქვს თუ არა აზრი G14-ში ყოფნას. ჩვენ არ გვინდა არაფრის კეთებასა და უშედეგობაში ყოველწლიური საწევრო ვიხადოთ. „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს გვეეჭვება, რომ ამ ორგანიზაციის არსებობას კიდევ აქვს აზრი. ეს ორგანიზაცია არაფერს აკეთებს და ფიფა-უეფასთან არანაირ კავშირს არ ამყარებს“ — ბრძანა რუმენიგემ.

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი“ გახლდათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც 2000 წელს, მადრიდის კაზინოში დააფუძნეს 14 უდიდესი ევროპული კლუბის გაერთიანება, რომელიც მაშინ ჩემპიონთა ლიგის ტელეშემოსავლების კლუბთა სასარგებლოდ განაწილებასა და სანაკრებო შეხვედრებში დაშავებულ ფეხბურთელთა სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებას ითხოვდა. 2002 წელს ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა, თუმც სახელწოდება არ შეცვლილა.

რუმენიგე: „ამ ორგანიზაციაში დიდი ბუნდოვნებაა. კალდერონი და მისი კოლეგები იტალიიდან და ინგლისიდან, თავისკენ ექაჩებიან. გამოდის, რომ ფეხბურთში ეგოისტური პრინციპები მოქმედებს“.

შემდეგ „ბაიერნის“ შეფმა მოიტანა რიცხვები. მისი შტკიცებით, ჩემპიონთა ლიგამ ბრემენის „ვერდერს“ 23 მილიონი ევრო შემატა, მაშინ როდესაც „ბარსელონას“ ყულაბაში 143 მილიონი ჩაჩხრიალდა, რაც განაწილების არაცენტრალიზებული სისტემის შედეგია.

პაპუნა კედია

ლუკეს აღარ მკაჭკაჭება

„ნიუკასლში“ ალბერტ ლუკეს შემცვლელის ძებნა დაიწყეს. კატალონიელი ფეხბურთელი სავარაუდოდ იანვრის სატრანსფერო ბაზრის დროს სხვაგან გადაბარგდება და „კაჭკაჭებიც“ თადარიგს აქედანვე იჭერენ. მედიის ცნობით, ინგლისურ კლუბში ლუკეს ადგილს ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ მობურთალი იანის ოკასი დაიკავებს.

ლუკეს სამომავლო კლუბი კი ალბათ ესპანური „ვილიარეალი“ იქნება. „ყვითლები“ იანვრისთვის მოირიშეთა ხაზის გაძლიერებას აპირებენ და საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ექსდეპორელის შეძენა გადაუწყვეტიათ. ალბერტ ლუკე „ნიუკასლში“ მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, ამიტომაც სამშობლოში დაბრუნება და რომელიმე იქაურ გუნდში ჩარიცხვა მასაც სურს.

„ვილიარეალის“ წარმომადგენლებს რამდენჯერმე ვესაუბრე. ჯერ სამომავალო კონტრაქტზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ინგლისში დარჩენას აღარ ვაპირებ“ — განუცხადა სამხრეთელმა მოთამაშემ „მარკას“ კორესპონდენტს.

ალბერტ ლუკეს ტრანსფერის გარჩევა „ვილიარეალს“ დაახლოებით 4 მილიონი ევრო დაუჯდება. „ნებისმიერმა ფეხბურთელმა ფორმა რომ შეინარჩუნოს, სისტემატურად უნდა თამაშობდეს. ამ მხრივ გამონაკლისს არც მე წარმოვადგენ. რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ სათამაშო დრო ბლომად მომეცემა“ — აცხადებს ალბერტ ლუკე.

ლადო ხომერიკი

ვალდასს ჰართსი მეხუთეზე დაახვედრეს

ვალდას ივანაუსკასი

ლიტვიდან შოტლანდიაში დაბრუნდა და კვლავ „ჰართსის“ მწვრთნელი იქნება. მან შაბათს „ინვერნესთან“ მატჩში თავისი გუნდის თამაშს ტრიბუნიდან უყურა, ორშაბათიდან კი საქმე ჩაიბარა.

ივანაუსკასი ჯანმრთელობის გაუარესების გამო ორი კვირით დაეთხოვა კლუბის პატრონ ვლადიმირ რომანოვს და „ჰართსს“ მის ნაცვლად დროებით ვლადიმირ მალოფეევმა უთავკაცა. სეზონის დასაწყისში საჩემპიონოდ შემართულ ედინბურგელებს უკვე ზედიზედ შვიდი ტურია, არ მოუგიათ და მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. ამბობდნენ, რომანოვი ივანაუსკასის შეცვლას აპირებსო, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. მწვრთნელების ხშირმა ცვლამ ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედა და ორი კვირის წინ, როცა გუნდს მალოფეევი წარუდგინეს, კაპიტანმა სტივენ პრესლიმ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ რომანოვის პოლიტიკა გუნდში ვითარებას აფუჭებს.

დაბრუნებულმა ივანაუსკასმა განაცხადა: „ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს და დასვენება აშკარად მჭირდებოდა. ახლა კარგად ვარ. პრობლემები მოგვარებულია და საქმეს ძველებურად გავაგრძელებ“.

ირაკლი ნინიძე



თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ვიტირებდი

კვირის დიდ თამაშზე „მანჩესტერსა“ და „ჩელსის“ შორის, ჟოზე მაურინიუმ ბევრი ილაპარაკა.

თამაში 1:1 დასრულდა და „მანჩესტერმა“ ლიდერის პოზიცია და „ჩელსისთან“ სამქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

თუმცა „მათ ადგილას რომ ვიყო, გულგატეხილი ვიქნებოდი“ — თქვა მაურინიუმ.

„მანჩესტერი“ ამ თამაშის მოსაგებად და ქულათა სხვაობის გასაზრდელად გამოვიდა მინდორზე , მაგრამ არ გამოუვიდა. ჩემებს შესვენებაზე ვუთხარი, რომ პირველ ტაიმში მხოლოდ ორმა-სამმა მათგანმა ითამაშა ნამდვილი ფეხბურთი. მე წაგება კი არ მწყინს, არამედ ის, რომ ჩემი გუნდი მოსაგებად არ იბრძვის. ასეთი იყო პირველი ტაიმი. მე მარჯვენა მცველი მოვხსენი და მარცხენა გარემარბი შევიყვანე, რასაც „მანჩესტერი“ ვერ შეეგუა. მეორე წრეში მათ გასვლები აქვთ ლივერპულში, ჩელსთან და „არსენალთან“. „ოლდ ტრეფორდზე“ გამარჯვებისთვის ჩავედით, თუმცა, ფრეც კარგია. „მანჩესტერმა“ დიდი შანსი დაკარგა“.

ალექს ფერგიუსონმა კი თამაშის არსი მოკლედ განმარტა: „კმაყოფილი ვარ“.

ირაკლი გამყრელიძე

გაგრძელებული რუნი პოლიციამ მოიკითხა

უეინ რუნიმ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი „მანჩესტერ იუნაიტედთან“. უფრო სწორად, რუნის კონტრაქტი გაუგრძელეს და ახლა ის 2012 წლის ჩათვლით კლუბის საკუთრებად ითვლება.

21 წლის ფეხბურთელი აქამდე მაინც კარგახნით, კიდევ სამწელიწადნახევრით იყო დაკავშირებული „მანჩესტერთან“ ახლა კი ამას კიდევ მიემატა წლები. „განახლებული კონტრაქტით რუნი კვირაში 100 ათას გირვანქას მიიღებს.

მას „მანჩესტერში“ უკვე 105-ჯერ უთამაშია და 40 გოლიც გაუტანია.

რუნი ახალი სეზონით კმაყოფილია: „აშკარა წინსვლა გვაქვს, გამოცდილებისა და ახალგაზრდობის კარგი ნაზავი ვართ და ვფიქრობ, წელს ნამდვილად ვიბრძვით. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასეთი გუნდის ნაწილი შევიქენი“.

კონტრაქტს ხელი შაბათს მოეწერა, პარასკევს კი რუნი მანჩესტერის პოლიციამ დაკითხა ამასწინათ მომხდარი ამბის გამო: ღამის კლუბ „პანაცეას“ გამოსასვლელში დადარაჯებულ პაპარაცის რუნისგან ძალადობა შეუგრძნია და უჩივლია კიდეც.

ირაკლი გამყრელიძე

კაპიტანი ჟენ ჟი

ჩინეთის ნაკრების კაპიტანი ჟენ ჟი შესაძლოა, პრემიერ ლიგის აუტსაიდერ „ჩარლტონში“ აღმოჩნდეს, სადაც რამდენიმე დღე ვარჯიშობდა და მწვრთნელს თავი მოაწონა. „შანდონ ლუნენის“ 26 წლის ფეხბურთელს დაცვაშიც ეხერხება თამაში და ნახევარდაცვაშიც. „ჩარლტონის“ მწვრთნელმა ლეს რიდმა განაცხადა: „ჟი საუცხოო ფორმაშია, თავდაუზოგავად შრომობს და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაკრების კაპიტანია, დიდი შანსია, დავიტოვოთ. ათლეტურია და იმავდროულად ტექნიკაც არ დაეწუნება. უცბად აუღო ალღო ყველაფერს და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა ყატარში წავიდა, სადაც ჩინეთის ნაკრებს შეუერთდება. ჩვენ მას კიდევ დავაკვირდებით, რადგან მისი ეს პირველი ვიზიტი ხანმოკლე გამოდგა.“ ჟენ ჟი „ჩარლტონამდე“ ბერლინის „ჰერთაში“ და „საუთჰემპტონშიც“ ისინჯებოდა. ყატარიდან დაბრუნების შემდეგ იგი კიდევ რამდენიმე დღეს გაატარებს „ჩარლტონში“.

ლეს რიდის აზრით, პრემიერლიგურმა კლუბებმა ჩინეთის ყურადღება უნდა მიაქცინ, სადაც ძალიან ბევრი კლუბი და ბევრი ფეხბურთელია, რომლებშიც ნიჭიერებიც გამოერევიან. „ჟენ ჟი ერთ-ერთი მათგანია“ — თქვა რიდმა.

ირაკლი ნინიძე

XV ტური

დღეს		
უოტფორდი	:	შეფილდი
ხვალ		
ბოლტონი	:	ჩელსი
ასტონ ვილა	:	სიტი
ფულემი	:	არსენალი
ლივერპული	:	პორტსმუთი
მანჩესტერი	:	ევერტონი

ინგლისი

მაურინიუს ბოლტონამდე ოხრად საფიქრალი აქვს

„ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ნათამაშები ფრის შემდეგ „ჩელსის“ კიდევ ერთი რთული მატჩი ელის. ჟოზე მაურინიუს გუნდი „რიბოკს“ სტუმრობს. „ბოლტონმა“ გასულ უქმეებზე შინ არსენალი“ დაამარცხა, რითაც მესამე ადგილზე აცოცდა და კარგ ხასიათზეა.

სემ ალარდაისს „არსენალთან“ მატჩში ორი გარემარბი დაუშავდა — კვინტონ ფორჩუნი და ნიკი ჰანტი. მათი თამაში სათუოა. „ჩელსი“ კი ფაქტობრივად სრული შემადგენლობითაა, სოლომონ კალუს ტრავმას თუ არ ჩავთვლით.

მაურინიუს კარგად ესმის, რომ „მანჩესტერის“ ძალიან წინ გაშვება არ შეიძლება და ამიტომ ეს მატჩი უნდა მოიგოს. პორტუგალიელი ალბათ ბოლო მომენტში გადაწყვეტს 4-4-2-ით ითამაშოს თუ 4-3-3-ით, ანუ ძირითადში კვლავ ანდრეი შევჩენკო — დიდიე დროგბას წყვილი დააყენოს თუ კოტდივუარელ ფორვარდს ფლანგებიდან სხარტი არიენ რობენი და ჯო კოული დაახმაროს.

ამასობაში „მანჩესტერი“ „ევერტონს“ მასპინძლობს და „წითელ ეშმაკებს“ ისე აქვთ აკრეფილი, ლივერპულელების ძლევა წესით არ უნდა გაუჭირდეთ. თავისი ყოფილი გუნდის დამწუხრებას ეცდება ფორმაში შესული უეინ რუნი, ვისაც შეტევაში ისევ ლუი საა, კრიშტიანუ რონალდუ და რაიან გიგზი მიეხმარებიან.

ბევრისგან უკვე ჩამოწერილ „არსენალს“ ზედიზედ მეორე მძიმე ჯახი ელის. „ბოლტონის“ მერე „მეთოფეები“ თანაქალაქელ „ფულემს“ სტუმრობენ. კრის კოულმენის გუნდი მიმდინარე სეზონში ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტს, მაგრამ „არსენალთან“ განსაკუთრებული შემართებით ითამაშებს.

გამოსარჩევი მატჩია „ენფილდზეც“. რაფაელ ბენიტესის „ლივერპულს“ წლეულს გასვლაზე უჭირს თამაში, თორემ შინ შეუდარებლად ირჯება და ამის დამტკიცებას კიდევ ერთხე „პორტსმუთთან“ შეეცდება. მერსისაიდელებს სხვა გზა არც აქვთ, რადგან ოდენ მეცხრე ადგილზე არიან, რაც მათ ქომაგებს არანაირად არ აკმაყოფილებთ. ჰარი რედნაპის სიმპათიური გუნდი კი მეოთხე ადგილით იწონებს თავს და „ნიუკასლთან“ სტუმრად წაგების მერე „ლივერის“ გამწარებას ეცდება.

კოკი კანდელაკი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	მანჩესტერი		1:1		3:0		0:1			2:0	1:0		5:1					2:0				14	11	2	1	30:7	35	5	1	1	14:3	16	6	1	0	16:4	19
2	ჩელსი				2:1	1:1				1:0					3:0	1:0				4:0	2:1	14	10	2	2	24:8	32	6	1	0	14:3	19	4	1	2	10:5	13
3	ბოლტონი	0:4					3:1			2:0	2:0	0:1		0:0						1:0		14	7	3	4	15:13	24	4	1	2	8:6	13	3	2	2	7:7	11
4	პორტსმუთი			0:1				3:1				1:0	1:1			2:0	3:0			2:1		14	7	2	5	19:12	23	5	1	1	12:4	16	2	1	4	7:8	7
5	ასტონ ვილა							2:1			1:1		1:1	1:1			2:0	2:0			2:0	14	5	8	1	16:10	23	4	3	0	11:4	15	1	5	1	5:6	8
6	არსენალი					1:1			1:1	3:0				1:1				1:1	3:0	3:0		13	6	4	3	21:10	22	3	4	0	13:4	13	3	0	3	8:6	9
7	რედინგი	1:1	0:1				0:4				3:1			3:2	1:0						2:0	14	7	1	6	16:18	22	4	1	2	10:9	13	3	0	4	6:9	9
8	ევერტონი			1:0		0:1				3:0		2:2			1:1				2:0	2:1		14	5	6	3	18:12	21	4	2	1	11:5	14	1	4	2	7:7	7
9	ლივერპული					3:1		2:0			3:0				1:0	2:1	1:1	2:0				14	6	3	5	15:15	21	6	1	0	14:3	19	0	2	5	1:12	2
10	ტოტენჰემი		2:1		2:1				0:2			3:1	0:0			1:0			2:0			14	5	4	5	13:16	19	5	1	1	10:5	16	0	3	4	3:11	3
11	უიგანი	1:3				0:0		1:0							4:0					1:1	3:2	13	5	3	5	17:16	18	3	2	1	10:6	11	2	1	4	7:10	7
12	ფულემი		0:2	1:1				0:1	1:0			0:1							1:0		2:1	14	4	5	5	14:20	17	3	1	3	5:6	10	1	4	2	9:14	7
13	მიდლსბრო		2:1		0:4				2:1	0:0						1:0	0:1	1:0				14	4	4	6	11:17	16	4	1	2	6:7	13	0	3	4	5:10	3
14	სიტი				0:0		1:0						3:1	1:0		2:0		0:0	0:0			14	4	4	6	10:16	16	4	3	0	7:1	15	0	1	6	3:15	1
15	ვესტ ჰემი					1:1	1:0	0:1									2:1	0:2	1:0		3:1	14	4	2	8	10:16	14	4	1	2	8:6	13	0	1	6	2:10	1
16	ბლეკბერნი	0:1	0:2	0:1					1:1		1:1	2:1			4:2							13	3	4	6	11:17	13	2	2	3	8:9	8	1	2	3	3:8	5
17	ნიუკასლი			1:2	1:0				1:1			2:1	1:2						0:1		0:0	14	3	4	7	9:15	13	2	2	3	6:7	8	1	2	4	3:8	5
18	შეფილდი	1:2	0:2	2:2				1:2		1:1				2:1			0:0					14	2	4	8	8:19	10	1	3	3	7:10	6	1	1	5	1:9	4
19	უოტფორდი	1:2				0:0					0:0		3:3	2:0		1:1						13	1	6	6	10:19	9	1	4	1	7:6	7	0	2	5	3:13	2
20	ჩარლტონი	0:3		2:0	0:1		1:2		1:1						1:0					0:0		14	2	3	9	10:21	9	2	2	3	5:7	8	0	1	6	5:14	1

კოსტა რიკის ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელის მოძიების საკითხი გასულ ზაფხულს, გერმანიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებშივე წამოიჭრა — ალეშანდრე გიმარაეში თანამდებობიდან წავიდა და „ფედეფუტბოლს“ ანუ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას საკმაოდ რთულ ამოცანასთან შეჭიდება მოუხდა. რატომ არის ეს ამოცანა რთული? იმიტომ, რომ კოსტარიკელები ზედიზედ ორი მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ და, ბუნებრივია, სამომავლოდაც ამასვე ითხოვენ. ახალი მწვრთნელის ძიებამ ოთხ თვეს გასტანა და საბოლოოდ არჩევანი ყოფილ ფეხბურთელზე ერნან მედფორდზე შეჩერდა

იისფერი ურჩხულის ორი წელიწადი

ახალი კოსტარიკული სიტყვა: მოთმინება

მედფორდი სულ ახლახან თამაშობდა. სად არ უცდია ძალა, იტალიაში, ესპანეთში, მექსიკაში, ავსტრიასა თუ ყოფილ იუგოსლავიაში. მის შესახებ ყველამ იცის, რომ ახალ გამოწვევებს არ ემალება და გაამართლა კიდეც რისკიანი კაცის სახელი, ნაკრებში მუშაობას დათანხმდა. ერნან მედფორდი 1968 წლის 23 მაისს გახლავთ დაბადებული. „ტიკოს“ ანუ კოსტა რიკის ნაკრების შემადგენლობაში სიყმაწვილიდან თამაშობს. მისი მონაწილეობით 17 წლამდელი „ტიკოები“ 1985 წელს ჩინეთში ჩატარებულ ასაკობრივ მუნდიალში მონაწილეობდნენ, შემდეგ კი დიდ ნაკრებში გატარებულმა თხუთმეტმა წელიწადმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში მედფორდმა ეროვნულ გუნდში 89-ჯერ ითამაშა და 18 გოლი შეაგდო. **fifa.com**-ის დღევანდელი რესპონდენტი მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე გახლავთ.

ფეხბურთის თამაშს თავი „დეპორტივო საპრისას“ მოთამაშემ 2002 წელს დანება და ერთი წლის შემდეგ თავისი გუნდის მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით „იისფერი ურჩხული“ ორჯერ კოსტა რიკის ჩემპიონი, ერთხელ **UNICAF**-ის თასის მფლობელი და ერთხელაც **CONCACAF**-ის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. გარდა ამისა ერნან მედფორდის გუნდმა 2005 წელს, იაპონიაში გამართულ **fifa**-ს საკლუბო ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა, რაც, ცხადია, დიდი წარმატებაა.

— სენიორ მედფორდ, საკუთარი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობა როგორ განცდას იწვევს?

— ეს უდიდესი პატივია. არ არსებობს მწვრთნელი ნაკრების სათავეში ჩადგომაზე რომ არ ოცნებობდეს. ამ მიზნის მისაღწევად მწვრთნელები უამრავ საფეხურს გადიან და იხვეწებიან. ვიმეორებ, ეს უდიდესი პატივია.

— მგონი, მწვრთნელობაში საკუთარი თავი იპოვნეთ თუ არა, მაშინვე ამ თანამდებობაზე დანიშვნამ გიწიათ.

— დიახ, ასეა. სწორედ ზემოთ ვახსენე განვითარების საფეხურები. „საპრისაში“ ერთი ასეთი საფეხური გავიარე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ თავს ბედნიერად არ ვგრძნობდი. ჩვენ საშინაო და კონტინენტურ დონეზე რისი მოგებაც შეიძლებოდა ყველაფერი მოვიგეთ და პლუს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოვიპოვეთ. ამის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა საზღვარგარეთ რომ მესინჯა ძალები, მაგრამ, მართალი გითხრათ, ამას დიდად არ ვნატრობდი. ნაკრების მწვრთნელობა რომ შემომთავაზეს თავი ბედნიერად ვიგრძენი.

— დაგნიშნეს თუ არა მწვრთნელად, ფანებსა და პრესას მოთმინება და თანადგომა სთხოვეთ. რას გულისხმობდით?

— დახეთ, რა ხდება. ნაკრების მწვრთნელად ჩემს დანიშვნას მხარი ფეხბურთის ფედერაციის გარდა სწორედ გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა დაუჭირეს, რისთვისაც მადლობელი გახლავართ, მაგრამ ისიც ითქვა, რომ ჩემი ამ თანამდებობაზე ყოფნა ორ წელიწადზე მეტს არ გასტანს. თუ გვინდა რომ საქმე კარგად გაკეთდეს, ოთხი წელიწადი მაინც უნდა გავიაროთ ყველამ ერთად. მედია საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს და თუ ჩვენ გავითიშებით, საქმე ცუდად წაგვივა. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მთავარი სიტყვა მოთმინება უნდა იყოს.

— როგორ უნდა უხელმძღვანელოთ ფეხბურთელებს, რომელთა ნაწილთან ერთად თავად თამაშობდით?

— ამაში ჩემთვის ახალი არაფერია. „საპრისაში“ ეს ერთხელ უკვე გავიარე. მერედა, რა არის გასაკვირი, თანამედროვე ფეხბურთში ხომ უამრავი ახალგაზრდა მწვრთნელია. სხვათაშორის, ეს ყველაფერი უადვილესი მოსავლელია თუ ყველას თავიდანვე მის როლსა და ადგილს მიუთითებ. თუკი „საპრისაში“ მოვახერხე ბრძოლისუნარიანი, შრომისმოყვარე ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება, რატომ ვერ უნდა შევძლო იგივე ნაკრებში?

— თუ იმ კოსტარიკელ ფეხბურთელებს გადავხედავთ, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ გუნდი ახალ საფეხურზე აიყვანოთ. ასე არ არის?

— დიახ. ამიერიდან, ახალგაზრდებისა და გამოცდილთა სწორად შეზავება ჩემი საქმეა. მიზნების მისაღწევად ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ინება. ჩემთვის საჭიროა უცხოეთში მოთამაშე კოსტარიკელებმა მოედანზე სულ მეტი და მეტი დრო დაჰყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩემთვის საინტერესონი არ იქნებიან. დიდ სიმაღლეებს მაშინ მივაღწევთ თუ ისინი მუდმივად ითამაშებენ.

— ერთიხანობა ისე ჩანდა, რომ კოსტა რიკა რეგიონში მექსიკელთა შესავიწროვებლად მზად იყო, მაგრამ შემდეგ აშშ დაწინაურდა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— მართალი ბრძანდებით. ამის მიზეზი კი ამერიკელთა თანმიმდევრული მუშაობა გახლავთ. მათი მენტალიტეტი პროგრესისკენ და მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, ჩვენი კი, სამწუხაროდ, ოცნებას ოცნებად ვიტოვებთ ხოლმე. სწორედ ეს მინდა ვუთხრა ჩემს ხალხს: კოსტა რიკამ დიდი მიზნები უნდა დაისახოს. ვიცი, რომ ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვანია და ჩვენ სასწაულს ვერ ჩავიდენთ, მაგრამ მუხლჩაუხრელი მუშაობით ბევრი რამის მიღწევა მაინც შესაძლებელია.

— რა სტილის ფეხბურთი განიჭვებთ სიამოვნებას?

— ის, რომელსაც შედეგი მოაქვს. თუ ამასთან ერთად ლამაზი ფეხბურთის თამაშსაც შევძლებთ, ამას რაღა ავჯობებს. და მაინც, პრესა და ქომაგები გაქებენ როდესაც იმარჯვებ. ჩემი საყვარელი განლაგება 3-5-2 გახლავთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამას ვერ შეველევი. ხშირად ვცდილობ ჭკუა ვიხმარო და ჩემი ევროპული გამოცდილება გამოვიყენო, ევროპული ფეხბუროი კი საკმაოდ მარტივია.

— „საპრისამ“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა. რას ნიშნავს ეს წარმატება თქვენთვის?

— ეს ის არის, რაც ძალიან გვინდოდა.მიხარია, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მივიღეთ და ასეთ შედეგს მივაღწიეთ. ასეთი წარმატება კოსტა რიკის ფეხბურთს ჯერ არ ჰქონია. ეს ისტორიული წარმატება ამტკიცებს, რომ ჩვენ მსოფლიოს ყველა რეგიონის გუნდებს ღირსეულად ვეთამაშეთ.

— და ბოლოს, რა მიზნებს ისახავს კოსტა რიკა?

— მე იმედიანი კაცი გახლავართ, მაგრამ მესმის რომ ნაბიჯების გადაგმაში თანმიმდევრულობა გვმართებს და ამიტომ, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა **UNICAF**-ის თასი უნდა მოვიგოთ, შემდეგ „ოქროს თასი“, რომელიც არასდროს მოგვიგია. რაც შეეხება საბოლოო, გრძელვადიან მიზანს, ეს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მოხვედრაა.

არგენტინულმა ჩაქუჩმა ატლეტიკოს მიუსაჯა

მადრიდული მედიის ცნობით, ხავიერ მასკერანოს და კარლოს ტევესს „ატლეტიკოში“ გადაბარგება სურთ. ფეხბურთელები „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ არსებული არასტაბილური სიტუაციით უკმაყოფილონი არიან. ინგლისური კლუბი მცირე ხნის წინ ისლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ეგერტ მაგნუსონმა შეიძინა. არადა, თითქოს „ჩაქუჩები“ ირანული წარმოშობის მილიარდერის, კია ჯურაბჩიანის საკუთრება უნდა გამხდარიყვნენ... პატაგონიელი ფეხბურთელები კი „ატლეტიკოს“ სატრანსფერო სამიზნეზე ადრეც იყვნენ. კარლოს ბიანკის მწვრთნელობის ჟამს „ვისენტე კალდერონის“ კლუბის უფროსობას ხავიერ მასკერანოს ყიდვა გულით უნდოდა.

„კორინთიანსში“ ბურთაობის შემდეგ ორივე არგენტინელმა ფეხბურთელმა კარიერის გასაგრძელებლად „ვესტ ჰემს“ მიაკითხა, სადაც ახლა ფრიად დაძაბული ვითარებაა. „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ 33 მილიონი ევრო ვალი აქვს და პრემიერლიგის ცხრილშიც მეთექვსმეტე ადგილზეა. ამან შეიძლება, კლუბიდან ახალგაზრდა პატაგონიელ ვარსკვლავთა წასვლა დააჩქაროს.

ტევესი და მასკერანო ყოველთვის აცხადებდნენ, რომ ესპანურ პრიმერაში თამაში მათი სანუკვარი ოცნება იყო. ჯერჯერობით „ატლეტიკოს“ მესვეურებს იანვრის სატრანსფერო ბაზარზე „პორტუდან“ მარტო რიკარდუ კვარესმას ყიდვა განუზრახავთ. მომავალში რა მოხდება, დრო გვიჩვენებს.

ლადო ხომერიკი

პორტუგალია

XI ტური

ბოავიშტა — ამადორა 1:1; ბენფიკა — მარიტიმუ 2:1; აკადემიკა — ბეირა მარი 3:1; ნასიონალი — ლეირია 2:1; ფერეირა — ავეში 2:0; ბელენენსეში — პორტუ 0:1; ნავალი — სპორტინგი 0:1;

პორტუ	11	9	1	1	24:7	28
სპორტინგი	11	8	2	1	18:7	26
ბენფიკა	10	6	1	3	21:13	19
ნასიონალი	11	6	1	4	19:11	19
ბრაგა	10	5	2	3	13:12	17
ლეირია	11	5	2	4	11:13	17
ნავალი	11	4	4	3	10:9	16
მარიტიმუ	11	5	1	5	12:12	16
ფერეირა	11	4	4	3	13:14	16
აკადემიკა	11	3	4	4	15:15	13
ბოავიშტა	11	3	3	5	12:15	12
ბელენენსეში	10	3	2	5	7:8	11
სეტუბალი	10	2	3	5	7:13	9
ამადორა	11	2	2	7	5:16	8
ბეირა მარი	11	1	4	6	13:24	7
ავეში	11	1	2	8	8:19	5

იაპონია

ჯეილიგა. XXXII ტური

ჯუბილო — შინიცუ 1:0; კავასაკი — კაშიმა 3:2; ნაგოია — ფუკუოკა 2:0; ჰიროშიმა — ნიიგატა 2:1; იოკოჰამა — ოიტა 0:1; ტოკიო — ურავა 0:0; გამბა — კიოტო 3:2; ომია — სერეცო 2:0; კოფუ — ჯეფ იუნაიტედი 2:3

ბრაზილია

სერია A. XXXVII ტური

ატლეტიკო პრ. — ფიგეირენსე 1:4; ბოტაფოგო — კორინთიანსი 0:0; გოიასი — პონტე პრეტა 3:0; გრემიო — ფლამენგო 3:0; ფუჭენტუდი — ფორტალეზა 2:2; პალმეირასი — ინტერნასიონალი 1:4; სანტა კრუზი — ფლუმინენსე 1:2; სან კეტანო — პარანა 0:2; სან პაულო — კრუზეირო 2:0; ვასკო და გამა — სანტოსი 1:1

რუმინეთი

I ლიგა. XVII ტური

გლორია — უნირეა 0:0; პოლიტექნიკა — ოცელული 1:1; არჯეში — პანდური 0:0; ვასლუი — პოლი 1:0; ფარული — კლუჟი 0:2; არადი — უნივერსიტატია 1:0; დინამო — ჩაპლაული 2:0; რაპიდი — ნაციონალი 2:1; სტიაუა — ჯული 3:0

ჩილე

პრიმერადივიზიონი. XIX ტური

იტალიანო — კათოლიკა 1:0; კოკიმბო — ჰიგინსი 0:0; უნივესიდად დე ჩილე — კობრელოა 1:0; კოლო კოლო — პუერტო მონტი 1:0

მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

ტოლუკა 2:1 მონტერეი (0:0)

უნამი 0:1 პაჩუკა (1:1)

ამერიკა 3:3 ატლასი (3:1)

ბულგარეთი

უმაღლესი ლიგა. XV ტური

ბეროე — ვიპრენი 2:0; ბოტევი — მარეკი 3:0; ლოკომოტივი (ს) — ჩერნომორეცი 7:0; რილსკი — ჩერნომორეცი 1:2; სლავია — როდოპი 4:1; სპარტაკი — ლოკომოტივი (პ) 2:1; ცსკა — ბულსატსა 2:1; ლიტექსი — ლევსკი 0:0

როიალ ლიგა

A ჯგუფი. II ტური

ბრანი 2:2 ჰელსინგბორგი

ოდენსე 5:3 რუსენგბორგი

B ჯგუფი. I ტური

ლილესტრიომი 2:0 ჰამარბი

C ჯგუფი. II ტური

ვიბორგი 2:2 ელფსბორგი

აიკ 1:1 ვოლერენგა

სლოვენია

I ლიგა. XIX ტური

დრავა — კოპერი 2:1; ფაქტორი — პრიმორიე 0:0; პუბლიკუმი — დომჟალე 1:4; ნოვა გორიცა — ნაფტა 2:1; ბელა კრაინა — მარიბორი 1:1

არგენტინა

აპერტურა. XVII ტური

როსარიო — კილმესი 4:2; სან ლორენსო — არგ. ხუნიორსი 0:0; ნუევა — ველესი 1:1; ქსტუდიანტესი — რასინგი 2:0; ბანფილდი — ხიმნასია (ს) 1:2; ხიმნასია (ლ) — ოლდ ბოისი 2:1; ინდეპენდიენტე — არსენალი 2:1; ბოკა ხუნიორსი — კოლონი 4:1; ბელგრანო — ლანუსი 1:1; გოდოი კრუზი — რივერ პლეიტი 0:1

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		28 ნოემბერი						
23:45	1	უოტფორდი-შეფილდი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
		29 ნოემბერი						
23:45	2	ასტონ ვილა-სიტი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
23:45	3	ფულემი-არსენალი	6.00	3.50	1.60	2.21	1.26	1.09
23:45	5	ლივერპული-პორტსმუთი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
23:45	6	მანჩესტერი-ევერტონი	1.35	4.30	9.00	1.02	1.17	2.90
23:45	8	ბოლტონი-ჩელსი	5.10	3.40	1.65	2.03	1.24	1.11
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		28 ნოემბერი						
23:45	21	ბარნსლი-საუთენდი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
23:45	22	ბარნლი-ლიდსი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
23:45	23	კოლჩესტერი-ჰალი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
23:45	24	ნორვიჩი-ლესტერი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
23:45	25	პლიმუთი-ლუტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
23:45	26	პრესტონი-ქოვენთრი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
23:45	27	უენსდი-ვესტ ბრომვიჩი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
23:45	28	სტოუი-კარდიფი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
23:45	29	ფულჰემი-ნრ. პალასი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
23:45	30	ქარ-სანდერლენდი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		29 ნოემბერი						
23:45	31	დერბი-იფსვიჩი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:45	32	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
		ავსტრია. I დივიზიონი						
		28 ნოემბერი						
22:00	127	აღმირა-ლინცერი	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11
22:00	128	გრაცკორნი-აუსტრია(მ)	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
22:00	129	კაფენბერგი-აუსტრია(ლ)	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
22:00	130	პერნტენი-პარნდორფი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
22:00	131	ლუსტენაუ-ლეობენი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
22:00	132	შვანენშტადტი-პარტბერგი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
		უეფას თასი						
		29 ნოემბერი						
23:45	374	ალმაარი-ლიბერეცი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
23:45	375	ბეშიქთაში-ბრიუგე	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:45	376	დინამო(ტ)-ლევერკუზენი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	377	გრასჰოპერი-სევილია	4.20	3.30	1.75	1.84	1.23	1.14
23:45	378	ლანსი-პარმა	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
23:45	379	ლივორნო-მაკაბი ჰ	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	380	ოსასუნა-ოდენსე	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
23:45	381	პარტიზანი-ოსერი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		30 ნოემბერი						
23:45	382	აიაქსი-ესპანიოლი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
23:45	383	აუსტრია-სპარტა(პ)	2.25	3.30	2.90	1.33	1.26	1.54
23:45	384	სელტა-ფენერბაჩე	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
23:45	385	აინტრახტი-ნიუკასლი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:45	386	ბოლესლავი-პსუ	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
23:45	387	ნანსი-ფეიენორდი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
23:45	388	პანათინაიკოსი-რაპიდი(ბ)	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
23:45	389	ვისლა-ბახელი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
		ინგლისი. თასი						
		28 ნოემბერი						
23:30	684	დარლინგტონი-მენსფილდი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	685	ჩელტენემი-შრიუსბერი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
23:45	686	დონკასტერი-აკრინგტონი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
23:45	687	მილუოლი-ბრაიტონი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		29 ნოემბერი						
23:45	688	პორტ ვეილი-ქრიუ	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
23:30	689	ჩესტერფილდი-ჩესტერი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
23:45	690	როუერსი-პიტერბრო	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
23:45	691	ნოტინგემი-ბრისტოლი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		შოტლანდია. თასი						
		28 ნოემბერი						
23:45	693	ქუინს პარკი-ბრეჩინი	2.35	3.40	2.45	1.38	1.19	1.42
		ჰოკეი. შვედეთი						
		28 ნოემბერი						
22:00	548	აიკ-იურგორდენი	2.00	4.10	2.50	1.34	1.11	1.55
22:00	549	ბრუნესი-ლულეო	1.80	4.20	2.60	1.25	1.06	1.60
22:00	550	ფერიესტადი-ფრიოლუნდა	1.55	4.20	3.60	1.13	1.08	1.93
		ჰოკეი. ფინეთი						
		28 ნოემბერი						
20:30	568	ესპო-კერპეტი	3.00	4.20	1.70	1.75	1.08	1.21
20:30	569	ჰელსინკი-სეინა	1.60	4.30	3.10	1.16	1.05	1.80
20:30	570	ჰაამეენლინა-კალპა	1.30	4.50	5.00	1.00	1.03	2.36
20:30	571	იუვესკიულე-ილვესი	2.00	4.10	2.20	1.34	1.04	1.43
20:30	572	ლუკო-პელიკანი	2.05	4.10	2.20	1.36	1.06	1.43
20:30	573	ტაპარა-ესპოო	2.00	4.10	2.30	1.34	1.06	1.47
20:30	574	წერკუ-იუერიტი	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		28 ნოემბერი						
20:00	588	ვსეტინი-სპარტა	3.10	4.20	1.70	1.78	1.09	1.21
20:30	589	ზნოიმო-კლადნო	1.75	4.20	3.00	1.23	1.10	1.75
20:30	590	ბუდეიოვიცე-პლზენი	1.60	4.30	3.40	1.16	1.08	1.89
20:30	591	ლიბერეცი-ზლინი	2.00	4.10	2.50	1.34	1.11	1.55
21:00	592	პარდუბიცე-ვიტკოვიცე	1.60	4.20	3.50	1.15	1.09	1.90
21:30	593	ლიბერეცი-ტრენეცი	1.50	4.30	4.00	1.11	1.09	2.07
22:00	594	სლავია-კარლოვი ვარი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		28 ნოემბერი						
20:00	609	პოპრადი-სლოვანი	2.25	4.10	2.10	1.45	1.08	1.38
20:00	610	სკალიცა-ზვოლენი	2.40	4.10	2.00	1.51	1.09	1.34
20:30	611	ჯოლიცე-ტრენჩინი	1.80	4.10	2.90	1.25	1.11	1.69
20:00	612	მარტინი-ნიტრა	1.70	4.10	3.00	1.20	1.08	1.73
20:30	613	ჟილინა-მიკულაში	1.80	4.10	2.80	1.25	1.09	1.66
		ჰოკეი. გერმანია						
		28 ნოემბერი						
22:30	624	ნიურნბერგი-დიუსელდორფი	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
22:30	625	კოლნი-ინგოლშტადი	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
22:30	626	კრეფელდი-ფაისბურგი	1.35	4.50	5.00	1.03	1.06	2.36
		ჰოკეი. შვეიცარია						
		28 ნოემბერი						
22:45	641	ამბრი-დავოსი	2.50	4.20	1.90	1.56	1.07	1.30
22:45	642	ბასელი-ლანგნაუ	1.80	4.30	2.55	1.26	1.05	1.60
22:45	643	ბერნი-რაპერსვილი	1.65	4.30	3.20	1.19	1.08	1.83
22:45	644	კლოტენი-ცუგი	1.90	4.30	2.35	1.31	1.05	1.51
22:45	645	ლუგანო-ციურიხი	1.70	4.20	3.00	1.21	1.08	1.75
23:00	646	სერვეტი-ფრიბურგი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
		ჰოკეი. რუსეთი						
		28 ნოემბერი						
20:00	660	აკ ბარსი-ნოვოკუზნეცკი	1.15	5.20	6.00	1.00	1.00	2.78
13:00	661	ამური-სიბირსკი ვოლკი	3.50	4.20	1.40	1.90	1.00	1.04
20:00	662	კრილია-ლადა	2.50	4.10	1.80	1.55	1.04	1.25
20:00	663	ლოკომოტივი-ტრაქტორი	1.40	4.30	3.50	1.05	1.00	1.92
20:00	664	ნეფტეხიმიკი-სიბირი	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
17:00	665	ავანგარდი-ეკიპაჟი	1.15	4.40	6.00	1.00	1.00	2.53
20:00	666	სიმეი-ცსკა	1.55	4.30	2.90	1.13	1.01	1.73

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	უოტფორდი-შეფილდი	2.70	2.00	3.75	1.14	1.56	1.30
10002	ასტონ ვილა-სიტი	2.35	2.00	4.70	1.08	1.56	1.40
10003	ფულემი-არსენალი	6.00	2.10	2.05	1.55	1.52	1.03
10005	ლივერპული-პორტსმუთი	1.90	2.20	6.90	1.01	1.48	1.66
10006	მანჩესტერი-ევერტონი	1.75	2.40	8.00	1.01	1.43	1.84
10008	ბოლტონი-ჩელსი	4.80	2.10	2.10	1.46	1.46	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	უოტფორდი-შეფილდი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11002	ასტონ ვილა-სიტი	2.70	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11003	ფულემი-არსენალი	8.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	20.00	12.00	2.20
11005	ლივერპული-პორტსმუთი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11006	მანჩესტერი-ევერტონი	1.85	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11008	ბოლტონი-ჩელსი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	უოტფორდი-შეფილდი	1.60	2.00
12002	ასტონ ვილა-სიტი	1.60	2.00
12003	ფულემი-არსენალი	1.70	1.90
12005	ლივერპული-პორტსმუთი	1.70	1.90
12006	მანჩესტერი-ევერტონი	1.90	1.70
12008	ბოლტონი-ჩელსი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	უოტფორდი-შეფილდი	1.70	1.90
13002	ასტონ ვილა-სიტი	1.70	1.90
13003	ფულემი-არსენალი	1.90	1.70
13005	ლივერპული-პორტსმუთი	1.90	1.70
13006	მანჩესტერი-ევერტონი	1.90	1.70
13008	ბოლტონი-ჩელსი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ნაგებად ჩაითვლება)

14001	უოტფორდი-შეფილდი	1.70	2.10
14002	ასტონ ვილა-სიტი	1.60	2.30
14003	ფულემი-არსენალი	2.40	1.40
14005	ლივერპული-პორტსმუთი	1.30	2.50
14006	მანჩესტერი-ევერტონი	1.08	2.90
14008	ბოლტონი-ჩელსი	2.40	1.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	უოტფორდი-შეფილდი	3.00	2.80	2.00
15002	ასტონ ვილა-სიტი	3.00	2.80	2.00
15003	ფულემი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15005	ლივერპული-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15006	მანჩესტერი-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15008	ბოლტონი-ჩელსი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001	უოტფორდი-შეფილდი	1.55	2.20
16002	ასტონ ვილა-სიტი	1.28	3.20
16003	ფულემი-არსენალი	4.00	1.20
16005	ლივერპული-პორტსმუთი	1.11	5.30
16006	მანჩესტერი-ევერტონი	1.08	6.30
16008	ბოლტონი-ჩელსი	3.30	1.22

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17001	უოტფორდი-შეფილდი	1.85	1.95
17002	ასტონ ვილა-სიტი	1.85	1.95
17003	ფულემი-არსენალი	1.85	1.95
17005	ლივერპული-პორტსმუთი	1.85	1.95
17006	მანჩესტერი-ევერტონი	1.85	1.95
17008	ბოლტონი-ჩელსი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ქართული ლეგიონი

ელისი და ჰერბერტი ევროლიგაში გაერთიანდნენ

ნაცვლიშვილი და ბოისა წყვილ-წყვილად იგებენ



ტაირონ ელისი

გასული კვირა იმით იყო გამორჩეული, რომ საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა გუნდი იშოვა და ჩვენი რუბრიკის ცხრილშიც ჩაეწერა. როცა ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაშობდა, შემონდ უილიამსის ამბებს დაწვრილებით ვაშუქებდით და მის ნაცვლად მოსულმა ელისმა რა დააშავა?!

ტაირონი „მინესოტას“ უმიზნებდა, მაგრამ ნბა-ში ფეხი არ ჩაუვიდა და „მშობლიურ“ ევროპაში დაბრუნდა. ამერიკელი კია, მაგრამ 2001 წლიდან მოყოლებული ბებერ კონტინენტზე ბურთაობს და ევროპული კალათბურთიც მისთვის ამერიკულზე ახლობელია.

ელისი შარშან თურქულ „ბეშიქთაშში“ თამაშობდა, თუმც ქართველთა ნაკრებში მოხვედრამ და წარმატებით თამაშმა მას რეპუტაცია აუმაღლა და ელისი სერია A-ს „ნაპოლიმ“ მიიწვია. ტაირონი სამწლიანი განშორების შემდეგ ევროლიგასაც დაუბრუნდა, რაკი ნეაპოლელებმა წლეულს ევროპის ეს ზემძლავრი ტურნირიც დააჭაშნიკეს. 2002-03 წლებში ის გერმანული „სკაილანერსის“ მაისურით თამაშობდა ევროლიგაში.

ელისმა ნეაპოლელებთან კონტრაქტი გასული კვირის დასაწყისში გააფორმა და უკვე ხუთშაბათს დებიუტიც მოიწყო. მაგრამ ეს არ იყო უბრალო დებიუტი, არამედ დიდი დამთხვევა მოხდა — „ნაპოლი“ შეხვდა „პო ორტეზს“, რომელსაც გორდონ ჰერბერტი თავკაცობს, ელისის პროტეჟე საქართველოს ნაკრებში. ჰერბერტი ელისს „სკაილაინერსში“ წვრთნიდა და ოდინდელი ბეჯითი შეგირდი საქართველოს ეროვნულ გუნდშიც დაპატიჟა.

ელისს ვერ გამოუვიდა იღბლიანი დებიუტი — 11 წუთში ქულა ვერ მოიხვეჭა, მისმა „ნაპოლიმ“ კი ოვერტაიმში წააგო. ამერიკელმა ქართველმა გაცილებით მეტი, 23 წუთი ითამაშა გასულ კვირას სერია A-ში. მისმა მონაგარმა 5 ქულა და 1 პასი შეადგინა, „ნაპოლი“ კი კვლავ დამარცხდა, ამჯერად „ვარეზესთან“.

ევროპის სხვა ლეგიონერთაგან სტაბილურობით ისევ მანუჩარ მარკოიშვილი გამოირჩა, ვისი „ოლიმპიაც“ უსახსრობით სულს ღაფავს, თუმც ეს ლიუბლიანელთა თამაშის ხარისხზე არ აისახება. მარკოიშვილის გუნდმა გასულ კვირაში ერთი თამაში მოიგო, ერთში კი კინკილა ქულით დამარცხდა.

AFP

გორდონ ჰერბერტი

ადრიატიკის ლიგაზე „სპლიტთან“ მოგებულ შეხვედრაში მანუმ 11 ქულა მიითვალა, „პარტიზანთან“ დასანანად წაგებულში კი — 12.

ორივე მატჩი და ორივე დაბებულ ბრძოლაში მოიგო ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონმა“. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ევროთასზე 24 წუთში 7 ქულა ჩაუგდო რუმინულ „პლოეშტს“, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონატში 12 წუთში 8 ქულა მიითვალა.

უმნიშვნელოვანესი ჯახი მოიგო ვლადიმერ ბოისას „სიენამ“, რომელმაც სერია A-ს თანალიდერი, ბოლონიური „ვიდივიცი“ დაამარცხა და იტალიის ჩემპიონატში გაუფროსდა. უელებ-ის თასზე კი სიენელებმა ბულგარული „აკადემიკი“ დაამარცხეს და აქაც ჯგუფის ლიდერები არიან.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ბალტიის ლიგა	პანევეჟისი	ს	70:80	25	5	6	5
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	სპლიტი	შ	85:71	22	11	4	2
		ევროლიგა	პარტიზანი	შ	70:71	36	12	4	1
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	ვიდივიცი	შ	90:83	12	2	3	1
		უელების თასი	აკადემიკი	შ	77:63	16	7	3	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	საფრანგეთის ჩემპიონატი	ტულონი	შ	78:76	12	8	3	1
		ევროთასი	პლოეშტი	ს	77:75	25	7	1	2
ვიქტორ სანიკიძე	ესტუდიანტესი	ესპანეთის ჩემპიონატი	ბილბაო	ს	67:78	არ თამაშობს			
		ევროთასი	ნაპარია	ს	90:85	2	0	0	0
ტაირონ ელისი	ნაპოლი	სერია A	ვარეზე	შ	78:83	23	5	0	1
		ევროლიგა	პო ორტეზი	შ	84:96	11	0	1	2
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგ. ჩემპ.	ორლანდო	ს	79:98	27	7	11	2
			ტორონტო	შ	97:93	33	18	7	2
			დეტროიტი	ს	98:103	33	12	7	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ფინიქსში ამარე ეამათ

კიდის პასებზე ლეიკერსი არ დაეკიდა

26 ნოემბერი

ლეიკერსი 99:93 ნიუ ჯერსი

ლეიკერსი: ოდომი (21), ბრაიანტი (19 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: კარტერი (21 ქულა, 11 მოხსნა), კრსტიჩი (20), კიდი (7 ქულა, 16 პასი, 8 მოხსნა)

ტორონტო 92:83 ინდიანა

ტორონტო: ბოში (17 ქულა, 11 მოხსნა), ბარნანი (14)

ინდიანა: ჯეკსონი (18), ჰარინგტონი (18), ტინსლი (15)

დენვერი 103:88 კლიპერსი

დენვერი: ენტონი (33), სმიტი (23)

კლიპერსი: მაგეტი (22 ქულა, 12 მოხსნა), ბრენდი (16)

სიეტლი 78:98 სან ანტონიო

სიეტლი: ალენი (21), კოდისონი (15)

სან ანტონიო: პარკერი (20), დანკანი (18 ქულა, 16 მოხსნა), ობერტო (16)

პორტლენდი 101:119 ფინიქსი

პორტლენდი: აუთლოო (22), რენდოლფი (18)

ფინიქსი: ბელი (30), ნეში (23 ქულა, 10 პასი), სტუდემაიერი (20 ქულა, 11 მოხსნა), მერიონი (17), დიაუ (17)

ცალი ფეხით ვეტერანობაში გადამდგარი ჯეისონ კიდი განმაცვიფრებელი თამაშების სერიას არ წყვეტს. ბოლო ათი წლის ერთ-ერთმა საუკეთესო მეპასემ კიდევ ერთი კარგი თამაში ჩაატარა. „ლეიკერსთან“ შეხვედრაში 16 პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს, მაგრამ „ნიუ ჯერსიმ“ მაინც ვერ შეძლო მეტოქის ძლევა. ლოსანჯელესელთა ლიდერები — კობი ბრაიანტი და ლამარ ოდომი ხშირად სცოდავდნენ, ბევრ სროლას აცუღებდნენ — ბრაიანტმა 24 სროლიდან 16 გაანიავა, ოდომმა კი 16-დან 10 გააფუჭა, მაგრამ დანარჩენებმა ძალიან აკურატულად მოიხმარეს ბურთი და ლიდერთა წახდენილი გამოასწორეს. თავად ბრაიანტმაც, რომელიც წინა სეზონში საშუალოდ 35 ქულას იხვეჭდა, ახლა კი 25-საც ვეღარ აგროვებს, როცა შეატყო, სროლები არ მიმდისო, პასებზე გადაერთო და სეზონში უმეტესიც მოიხვეჭა. „ლეიკერსმა“ ამ მოგებით წყნარი ოკეანის დივიზიონში ლიდერობა განიმტკიცა.



კობი ბრაიანტი ნიუჯერსელთა ხელების ტყემ ვერ შეაჩერა

დივიზიონის ყოფილი ლიდერი „ლეიკერსის“ თანაქალაქელი „კლიპერსი“ კი აშკარად ვერაა იშტაზე. ამ გუნდმა სეზონი რიგიანად დაიწყო და ცოტა ხანი ცხრილის თავშიც ყელყელაობდა, მაგრამ შემდეგ ცხოვრება აერია და აგერ „დენვერთან“ ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია. ახლა „კლიპერსები“ ხუთგუნდა დივიზიონში მეხუთე ადგილამდე დაეცნენ და „ფინიქსიც“ კი გაატარეს წინ, რომელმაც სეზონი პირველ ექვს თამაშში ხუთი წაგებით დაიწყო. „დენვერისთვის“ კი, რომელსაც საუკეთესო ფორმაში ჰყავს ლიდერი კარმელო ენტონი, ეს მოგება მიჯრით მეხუთე იყო. „პორტლენდს“ სძლია და ზედიზედ მეოთხე, ბოლო 7 თამაშში კი მეექვსე გამარჯვება ჩაიწერა „ფინიქსმა“, რითაც ეს ბოლო ორი სეზონის ერთ-ერთი უძლიერესი და უსიმპათიურესი გუნდი მისთვის შეუფერებელ ბოლო ადგილს დაეხოვა. 23 ქულის და 10 პასის გამკეთებელმა „ფინიქსის“ ლიდერმა სტივ ნეშმა ბრძანა, წელს ასე კარგად არ გვითამაშიაო. გუნდმა ხომ გადასარევად იბურთავა და ფინიქსელებს ყველაზე მეტად ამარე სტუდემაიერის კარგი თამაში ეამათ. ტრავმის გამო მთელი წინა სეზონის გამომტოვებელი ამარე თანდათან ფორმას იბრუნებს და ახლა ორმაგი დუბლითაც გამოიჩინა თავი.

კოტე ყორშია

ეს ნაკბენი საფრანგეთამდე დაგვაპირუდეს

ქართველმა მორაგბეებმა ორი მატჩის ჯამში პორტუგალია 28:14 დასცეს და მსოფლიოს თასზე მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან თამაშის უფლება მოიპოვეს. ისევე, როგორც ოთხი წლის წინ 12 ოქტომბრის თბილისური ჯახი რუსეთთან, არც პორტუგალიელებთან მატჩი იყო პიკნიკი. ქართველმა ვაჟკაცებმა ამ ბოლო რკენაში ყველაფერი ჩადეს, ლისაბონში 15 პორტუგალიელს და უელსელ მსაჯს ეომნენ და ერთხელაც არ დავუვეჭვებივართ, რომ საწადელს მიაღწევდნენ და თავის გასატანს გაიტანდნენ.. ლისაბონური მატჩის შემდეგ ქართველ მორაგბეთა უმრავლესობა საფრანგეთში თავიანთ კლუბებს დაუბრუნდა, ჩვენ კი თბილისში ჩამოსულ რატი ურუშაძეს გავესაუბრეთ

გადრი კეთილაძის ფოტო

— პორტუგალიური მატჩის მთავარი დატვირთვა მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვება იყო და მოხარული ვარ, რომ ორი თამაშის ჯამში სასურველ შედეგს მივაღწიეთ. აჯობებდა, თასზე მოგებით გავსულიყავით, მაგრამ ფრითაც კმაყოფილები დავრჩით. იგივეს ვერ ვიტყვი ჩვენი თამაშის ხარისხზე. უკეთაც შეგვეძლო, თუმცა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე დაკონკრეტება აღარც ღირს.

— უპირატესობა თამაშის დაწყებისთანავე მოიპოვეთ. ლაბაძის ლელოს შემდეგ კი ალბათ საბოლოოდ დარწმუნდით, რომ საგზური ჯიბეში გედოთ...

— პირველი ტაიმი მთლიანად ჩვენი კარნახით წარიმართა. თუ სალელოვე კომბინაციას არ ვახსენებთ, პორტუგალიელებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ. თავიდანვე ვირწმუნე, რომ თამაში საჩვენო ანგარიშით დასრულდებოდა. ლაბაძის ლელოც სავსებით ლოგიკური იყო. თავდაჯერებულობა ერთიორად გაიზარდა.

— საპასუხო ლელო მალევე გაგვიტანეს. ესეც ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი ხომ არ იყო?

— ვერ ვიტყვი, რომ მოვდუნდით. პორტუგალიელები ბურთის სწრაფი გათამაშებით ცნობილნი არიან. გამთანაბრებელი ლელოც უსწრაფესი ლამაზი კომბინაციით გაიტანეს.

— რაქში და მოლში თამაშისას აშკარად ჩანდა, რომ მასპინძლები თქვენს პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობდნენ...

— ძალიან ბინძურად გვეთამაშებოდნენ. ფაქტობრივად არაფერს არ ერიდებოდნენ — მუხლების რტყმას, კბენას... ასე ჩვენ თბილისში რომ გვეთამაშა, სულ ცოტა, ხუთ კაცს გაგვიგდებდნენ.

— მსაჯობას მივადექით...

— მსაჯებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს ჩვენს საწინააღმდეგოდ. მგონი, შეტევა არ წამოგვიწყია, ჯარიმა რომ არ მოეგონებინათ. ცხადია, ამას შეგნებულად აკეთებდნენ. მეორე ტაიმში ყველა მიხვდა, რომ პორტუგალია სასურველი ანგარიშით მომგები აღარ იყო, თუმცა მთავარი მსაჯი მაინც ჯიუტად ცდილობდა, მასპინძლებს თუნდაც მინიმალური ანგარიშით ემარჯვათ. ალბათ ელოდა, პროვოკაციას როდის წამოვეგებოდით. ჩვენ კი ამ დროს მეტოქის მიერ შემოთავაზებულ ყველა სიბინძურეზე თვალს ვხუჭავდით. გაგეცინებათ და პირველი ტაიმის შემდეგ პორტუგალიელები თავად ედავებოდნენ მსაჯს რამდენიმე ეპიზოდის გამო. ალბათ უფრო მეტ მიკერძოებას მოელოდნენ და უკმაყოფილების საბაბიც ეს იყო. გულახდილად გეტყვით, მეც უარეს არაობიექტურობას ველოდი.

— წინა მსოფლიოს თასზე რუსეთის ძლევით გავედით. თან შედარებით მძიმე თამაშში. ამჯერად რომელთან გერჩივნათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაპირისპირება?

— სტატისტიკიდან გამომდინარე, ცხადია, რუსეთი სჯობდა. უკვე თორმეტი წელია, მათთან არ წაგვიგია. პორტუგალიისგან კი ბოლო დროს ბევრ პრობლემას წავაწყდით. აქვე ვიტყვი, რომ რუსეთს გადამწყვეტ ბრძოლაში IRB-დან იმხელა მხარდაჭერა არ ექნებოდა, როგორიც პორტუგალიას ჰქონდა.

— ლისაბონის ტრიბუნებზე ბლომად ქართველები მოგროვდნენ...

— ეს ჩვენთვის იმხელა სტიმული იყო, სიტყვებით გადმოცემაც კი მიჭირს. თბილისიდან ჩამოსული რამდენიმე გულშემატკივარი დაახლოებით 30-მდე პორტუგალიაში მცხოვრებ ჩვენებურს შეუერთდა და ისეთი ამბავი დაატრიალეს, ლამის მთელი სტადიონის ხმა გადაფარეს. მათი ყველა შეძახილი გვესმოდა და უფრო მეტად გვახელებდა.

— გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?

— დროის სიმცირის გამო განსაკუთრებული ზეიმი არ მოგვიწყვია. დოპინგ-კონტროლის გავლის შემდეგ სასტუმროში შევირბინეთ, გამოვიცვალეთ და ბანკეტზე გავემგზავრეთ. ნამდვილი აღნიშვნა ცოტა ხნით გადაიდო.

— მეორე ტაიმი უქულოდ ჩაამთავრეთ. საინტერესოა, რა დავალება მოგცეს შესვენებაზე მწვრთნელებმა?

— არა მარტო ჩვენ, პორტუგალიელებმაც უქულოდ ჩაითამაშეს მთელი ტაიმი, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ დაწინაურებას, ჩვენ კი შეგნებულად ვერიდებოდით გამწვავებას, დრო ხომ ჩვენზე მუშაობდა.

— თბილისში მწვრთნელების გარეშე რატომ დაბრუნდით?

— მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი საფრანგეთში დარჩნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სტაჟირებას „მონფერანის“ ზელანდიელ თავკაც ვერნ კოტერთან გაივლიან. ეს სპეციალისტი წლების წინ „კრუზეიდერსის“ მწვრთნელი იყო და ზე-12-იც მოუგია.

— ბოლოს პირად კარიერაზეც თქვი. ისევ რუსეთის ჩემპიონატში დაბრუნებას აპირებ?

— თამაშს საფრანგეთის ჩემპიონატში გავაგრძელებ. მე და ბესიკ ხამაშურიძემ უკვე „ნიცადან“ მიწვევაც მივიღეთ. დეკემბრის დასაწყისში გავემგზავრებით და კონტრაქტს გავაფორმებთ.

ოთარ მაღლაკელიძე

რიჩი მაკოუ: მესამე ხაზიდან პირველ რიგში

AFP

წინწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და რაგბის საერთაშორისო საბჭომაც ნოემბრის მიწურულს დასახელა 2006 წლის საუკეთესო მორაგბეები. მოლოდინისამებრ ყველა მთავარი პრიზი ზელანდიელებმა დაისაკუთრეს.

წლის საუკეთესო მორაგბედ „ოლ ბლექსის“ ფლანკერი(№6) რიჩი მაკოუ დასახელდა. მის მთავარ მეტოქედ თანაგუნდელი დენ კარტერი ითვლებოდა — მაორთა 10 ნომერი წლეულს მართლაც ფანტასტიკურად თამშობს, მაგრამ საუკეთესოდ დასახელება მაკოუზე მაინც ალალი იყო.

საერთოდ, დაცვაზე ორიენტირებული მოთამაშე იშვიათად რომ შემტევ, მით უმეტეს, ხაზის გამთამაშებელს ამჯობინონ, მაგრამ წლეულს მაკოუ მართლაც შეუდარებლად თამაშობდა. ლეგენდარული ტანა უმაგას წასვლის შემდეგ გაკაპიტნებულმა მაკოუმ დიდებულად ულიდერა „ოლ ბლექსს“ და თავისი პირდაპირი, დაცვითი ფუნქციების გარდა შეტევაშიც მშვენივრად ერთვებოდა.

მაკოუს წინამძღოლობით „ოლ ბლექსმა“ წლეულს სამი ერის პირველობა დიდი უპირატესობით მოიგო. გარდა ამისა, ზელანდიელებმა ევროპულ ტურნეშიც მიწასთან გაასწორეს ყველა დიდი თუ პატარა მეტოქე (მათ შორის ინგლისი და საფრანგეთი) და მაკოუ აქაც საუკეთესო იყო.

წლის მწვრთნელად თავისთავად ზელანდიელთა თავკაცი გრემ ჰენრი დასახელდა — ამ კაცმა მართლაც ოპტიმალური შემადგენლობა მონახა და „ოლ ბლექსი“ მსოფლიო ჩემპიონატს მომავალ წელსაც უპირობო ფავორიტად ეწვევა.

21-წლამდელებში საუკეთესო ფრანგი ლიონელ ბიუ, 19-წლამდელებში კი ავსტრალიელი ჯოშ ჰოლმსი დაასახელეს.

ფრანსუა პინარი, მაიკლ ჯონსი, ფაბიენ გალტიე, კიტ ვუდი, გევინ ჰასტინგსი, ჯონატან დევისი, დენ ლაილი, ფედერიკო მენდესი და ჯონ ილსი — წლის საუკეთესოები რაგბის ამ 9 ლეგენდისგან შედგენილმა საბჭომ დაასახელა.

ბაბა ლომაჯვილი

მსოფლიოს თასი 26 ნოემბერი

შილდის მეორე და პირველი კანადური

მარლიზ შილდი

იანიცა კოსტელიჩი არ იქნება და წლეულს ყველაფერს ანია პერსონი მოიგებსო — ასეთი იყო მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის 2006-07 წლების გათამაშების დაწყებამდე სპეციალისტთა უმრავლესობის აზრი და ეს უმრავლესობა ამ წუთისთვის ამჯობინებს, ხმა აღარ ამოიღოს, რადგანაც მიმდინარე სეზონის, უკვე სამი ეტაპი ჩაისრიალეს სამთო მოთხილამურე ქალებმა და პერსონმა ყველაზე მეტი რასაც მიაღწია, ის იყო, რომ კვირას ამერიკულ ასპენში სლალომის ტრასაზე მეოთხე შედეგი აჩვენა.

კოსტელიჩი არ არის, პერსონი ხაზმუზიანობს და ყველაფერს ავსტრიელები იგებენ. სეზონის პირველ სტარტზე, ფინურ ლევიში ავსტრიელმა ქალებმა სლალომის მთელი კვარცხლბეკი დაიკავეს და ოკეანის გაღმა, კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ასპენშიც ისინი ბატონობენ — შაბათს გიგანტურ სლალომში კატრინ ცეტელი პირველი იყო, მიხაელა კირხგასერი კი — მესამე, ხოლო კვირას, უკვე სლალომში, ფინური ეტაპის დარად, მარლიზ შილდმა იპირველა და მეორეზე ნიკოლ ჰოსპი გავიდა.

25 წლის შილდმა, ვინც სლალომში ტურინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია, პირველივე დაშვებისას შეიქმნა გვარიანი — 0,4 წამიანი უპირატესობა და მერე ეს სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა, გაორმაგა.

ჰოსპი პირველი ცდის შემდეგ მესამე იყო და მეორეზე მყოფ შვედ ტერეზა ბიორნსენს 0,33 წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ მეორე დაშვებისას ბრწყინვალედ ისრიალა, მხოლოდ შილდს ჩამორჩა და თანამემამულეს პედესტალზე გვერდით ამოუდგა.

ბიორნსენი კი მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგანაც კარიერაში მეორედ შედგა კვარცხლბეკზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკან მოიტოვა თავისი სახელოვანი თანამემამულე ანია პერსონი, ვინც ამჯერად მეოთხე იყო, თუმც ეს მეოთხე ადგილი, როგორც ვთქვით, მისთვის ჯერჯერობით საუკეთესოა ამ სეზონში.

სამი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლის სათავეში ერთბაშად ოთხი ავსტრიელია — ჰოსპი, ცეტელი, შილდი და კირხგასერი, ხოლო სეზონის ფავორიტი პერსონი ოდენ მეათეა 72 ქულით.

პარალელურად, კორდილიერების ჩრდილოეთ, კანადურ ნაწილში, ლეიკ ლუისის ფერდობებზე კაცებმა სეზონის პირველი სუპერგიგანტი ჩაისრიალეს და მასპინძლებისდა გასახარად სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ყველასთვის უცნობმა ჯონ კუჩერამ.

22 წლის სლოვაკური წარმოშობის კანადელი -11 გრადუს სიცივეში პირველი იყო სტარტზე და, როდესაც მან წუთსა და 29,70 წამში უწია ფინიშს, არავის ეგონა, თუ ეს დრო ბოლომდე საუკეთესო იქნებოდა.

ვინ აღარ შეუტია კუჩერას შედეგს, მაგრამ ამაოდ — დიადი ჰერმან მაიერი ოდენ მეოთხეობას დასჯერდა, ყველაფერის მომგები ამერიკელი ბოდე მილერი მე-14 იყო, წინა დღეს სწრაფდაშვებაში გამარჯვებული ლიხტენშტაინელი მარკო ბუხელი — 21-ე...

ლეიკ ლუისის ფერდობებზე მსოფლიოს თასის 18 ეტაპია გამართული — 11 სწრაფდაშვებაში და 7 სუპერგიგანტში და პირველად მოხდა, რომ პირველობა კანადელმა მოიპოვა. ეგ კი არა, 1989 წლის შემდეგ, როდესაც რობ ბოიდმა ვისტლერში გამართული სწრაფდაშვება მოიგო, კანადელებს მშობლიურ ტრასებზე აღარ ემარჯვათ და აი, კუჩერამ ეს უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და იმის გათვალისწინებით, რომ წინ დღეს სწრაფდაშვებაში მეორე ადგილი მანუელ ოსბორნ-პარადისმა დაიკავა, კანადელებს ზეიმის სრული უფლება აქვთ.

ჯონ კუჩერა

AFP ლეიკ ლუისიდან

ქალები. სლალომი. ასპენი (აშშ)

1. მარლიზ შილდი (ავსტრია)	1 წუთი და 43,18 წამი (51,28 + 51,90)
2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	1.43,98 (52,01+ 51,97)
3. ტერეზა ბიორნსენი (შვედეთი)	1.44,25 (51,68 + 52,57)
4. ანია პერსონი (შვედეთი)	1.44,30 (52,27 + 52,03
5. კატრინ ცეტელი (ავსტრია)	1.44,75 (52, 26 + 52,49)
საერთო ჩათვლა	
1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	210 ქულა
2. კატრინ ცეტელი (ავსტრია)	205
3. მარლიზ შილდი (ავსტრია)	200
4. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია)	128
5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი)	127

კაცები. სუპერგიგანტი. ლეიკ ლუისი (კანადა)

1. ჯონ კუჩერა (კანადა)	1 წუთი და 29,70 წამი
2. მარიო შაიბერი (ავსტრია)	1.29,76
3. პატრიკ იერბინი (შვედეთი)	1.29,98
4. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	1.30,16
5. ანტუან დენერია (საფრანგეთი)	1.30,47
საერთო ჩათვლა	
1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	126 ქულა
2. ჯონ კუჩერა (კანადა)	118
3. მარკო ბუხელი (ლიხტენშტეინი)	110
4. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	90
5. მარიო შაიბერი (ავსტრია)	88

მსოფლიოს თასი ფინეთში

ტუუსამო (ფინეთი). 25-26 ნოემბერი

ეიდარ რონინგი

AFP ტუუსამოდან

ნორვეგიული მაქსიმუმი

გასულ უქმეებზე ფინურ კუუსამოში ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი გაიმართა, რომლის პროგრამაშიც კლასიკური სტილით ინდივიდუალური სპრინტი და ასევე კლასიკური სტილით, ქალთა 10 და კაცთა 15 კილომეტრზე ინდივიდუალური დისტანციები იყო.

კაცთა შორის აშკარა იყო ნორვეგიელთა უპირატესობა. თავიანთი შვედი მეზობლების არყოფნაში ნორვეგიელმა სპრინტერებმა ერთბაშად ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს და 15 კილომეტრზეც ეიდარ რონინგმა შორს ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი, ფრანგი ვუნსან ვიტოზი.

სწორედ რონინგი ლიდერობს საერთო ჩათვლას. მას უკან თანამემამულეთა მთელი ბატალიონი მიჰყვება და მდევართა შორისაა და ბიატლონის მეფე ოლე ეინარ ბიორნდალენი, ვინც წელს შაშხანა გვერდზე გადადო, მთლიანად თხილამურებზე გადაერთო და ერთი ეტაპის მოგება მოახერხა კიდეც.

ქალთა საერთო ჩათვლას ასევე ნორვეგიელი, მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი მარიტ ბიორგენი ლიდერობს, რომელმაც კუუსამოში ერთი მეორე და ერთიც მესამე ადგილი დაიკავა. სპრინტში საუკეთესო სლოვენიელი პეტრა მაიდიჩი იყო, ხოლო 10 კილომეტრზე, მასპინძლების გასახარად, ვირპი კუიტუნენმა იმარჯვა.

კუუსამოში თხილამურებით მორბენალთა გარდა ტრამპლინიდან მხტომელები და სათხილამურო ორჭიდის სპეციალისტებიც იყვნენ, ოღონდაც მათი პროგრამა უამინდობის, უფრო სწორად კი ძლიერი ქარის გამო მკვეთრად შეიკვეცა. ორჭიდელებმა ერთი სტარტის გამართვა მაინც მოასწრეს და ფრანგმა შაპიუიმ შეძლო ტრამპლინზე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და გამოდევნებით რბენაში არავის მისცა გადასწრების საშუალება. მსოფლიოს თასის ჩამგზის მფლობელი, ფინელი ჰანუ მანინენი ტრამპლინის შემდეგ 5 წუთზე მეტს აგებდა ფრანგთან და ჩამორჩენა 19,5 წამამდე კი დაიყვანა, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე გერმანელი ჰაისენი იყო.

რაც შეეხება ტრამპლინიდან მხტომელებს, მათ სრულად ერთი ეტაპიც კი ვერ ჩაამთავრეს, თუმც გამარჯვებული მაინც გამოვლინდა — უცნობმა ფინელმა არტუ ლაჰიმ მხოლოდ იმის ხარჯზე მოიგო, რომ უძლიერესები ბოლოსკენ ხტებოდნენ, სწორედ მაშინ, როდესაც ქარი განსაკუთრებით გაძლიერდა და ბუნებრივია, მაღალ შედეგებზე ლაპარაკი აღარ იყო. გამარჯვებული მხოლოდ ერთი ნახტომით გამოვლინდა და ლაჰიმ უკან ჩამოიტოვა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური ჩემპიონი, შვეიცარიელი ამანი, ხოლო მესამე ადგილზე ნორვეგიელი იაკობსენი გავიდა.

კაცები

სპრინტი. 1,2 კმ. კლასიკური

1. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია)
2. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია)
3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)

15 კმ. კლასიკური. ინდივიდუალური

1. ეიდარ რონინგი (ნორვეგია)	38 წუთი და 35,2 წამი
2. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი)	+15,9 წამი
3. ანდრეს სოდერგრენი (შვედეთი)	+18,3 წამი

საერთო ჩათვლა

1. ეიდარ რონინგი (ნორვეგია)	232 ქულა
2. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	156
3. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია)	128

ქალები

სპრინტი. 1,2 კმ. კლასიკური

1. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)
2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)
3. მარეტ ბიორგენი (ნორვეგია)

10 კმ. კლასიკური. ინდივიდუალური

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	28 წუთი და 01,2 წამი
2. მარატ ბიორგენი (ნორვეგია)	+44,1 წმ.
3. კრისტინა შიაგუნი (ესტონეთი)	+49,2 წმ.

საერთო ჩათვლა

1. მარეტ ბიორგენი (ნორვეგია)	300 ქულა
2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	222
3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია)	194

ლამანჩური რეალი ყველაფერს იგებს

„სიუდად რეალმა“ მორიგი ევროპული ჯილდო მოიგო

მეტად საინტერესო და თვალსაჩინო გამოდგა ვაჟ ხელბურთელთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელსაც „ევროპის სუპერთასსაც“ უწოდებენ.

წლის შემაჯამებელ ამ ტრადიციულ, გრანდთა ტურნირში ამჯერად მონაწილეობდნენ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ესპანეთის „სიუდად რეალი“, თასების მფლობელთა თასის მომგები რუსეთის „ჩეხოვსკიე მედვედი“, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის მფლობელი გერმანიის „ლემგო“ და კიდევ ერთი გერმანული კლუბი „გუმერსბახი“, რომელიც ორგანიზატორებმა „ველური ბარათით“ დაუშვეს, როგორც ლიგის ამუამინდელი გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი.

ოთხმატჩა ბლიცტურნირი კიოლნის „არენაზე“ ჩატარდა და გულშემატკივართა უდიდესი დაინტერესებაც გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრას სუპერთასისთვის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო — 15108.

ყველაზე დაძაბული და ემოციური იყო გერმანული გუნდების ნახევარფინალური დაპირისპირება. საფინალო სასტვენამდე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა — ანგარიში 24-ჯერ (!) გაყიმდა, ხოლო ერთ-ერთი მეტოქის უპირატესობა ორ ბურთს არ ასცილებია.

ანგარიში უკანასკნელად საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე გათანაბრდა ლემგოელთა სნაიპერ (10 გოლი) მარკუს ბაურის ზუსტი ტყორცნის შემდეგ — 33:33. მას ბოლო წუთზე თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ გორან სტოიანოვიჩმა პენალტი აუღო, ხოლო იქვე გუმერსბახელთა სწრაფი გარღვევა მომირ ილიჩის საფინალო გოლით დაგვირგვინდა — 34:33.

დრამატულად წარიმართა „რეალისა“ და „დათვების“ მატჩი. რუსები არ შედრკნენ რეიტინგით გაცილებით მაღლა მდგომ მეტოქის წინაშე, თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი ხუთი ბურთით მოიგეს — 21:16. ექვს წუთში მათი უპირატესობა შვიდამდე გაიზარდა — 25:18 და თითქოს ყველაფერი გარკვეული ჩანდა, მაგრამ ძალთა და ნებისყოფის მაქსიმალური კონცენტრაციით ლიგის ტრიუმფატორებმა 15 წუთში მოახერხეს ამხელა პასივის გაბათილება, ბოლოს კი დაქანცულ მოწინააღმდეგეს სამბურთიანი სხვაობით სძლიეს.

ფინალურ მატჩში გადაჭედილი ტრიბუნების ფანტასტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, „გუმერსბახი“ ვერაფერს გახდა „სიუდად რეალთან“, რომელმაც ტაიმიც და მთელი თამაშიც ხუთბურთიანი უპირატესობით მოიგო — 36:31 (18:13) და ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის საკლუბო ჩემპიონი.

მესამე ადგილისთვის „ლემგომ“ ადვილად დაამარცხა „ჩეხოვსკიე მედვედი“ — 37:33. რეალელთა წარმატებაში უმთავრესი წვლილი შეიტანა ხორვატმა ლეგიონერმა მირჩა ძომბამ, რომელმაც გერმანელებს ცხრაჯერ გაუტანა, ხოლო ორ შეხვედრაში 17 გოლით ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი ფრანგ „გუმერსბახელ“ დანიელ ნარცისს ერგო, ხოლო საუკეთესო მეკარედ რეალელი სერბი არპად შჩერბიკი დაასახელეს.

გია ახალაძე

სიკვდილი ტრეკზე



შაბათს, ბელგიის ქალაქ გენტის ველოტრეკზე, ტრაგედია დატრიალდა — ველოსპორტის სამყაროში უაღრესად პოპულარულ წყვილთა ექვსდღიანი რბოლების მეხუთე დღის მიწურულს, ერთმანეთს ესპანელი ისააკ გალვესი და ბელგიელი დიმიტარ დე ფაუვი შეეჯახნენ, რის შემდეგაც 31 წლის გალვესი გარდაიცვალა.

ისააკ გალვესი საკმაოდ ცნობილი სახე იყო ველოსპორტის სამყაროში. 1999 და 2006 წლებში ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სატრეკო ველორბოლის მედისონად წოდებულ სახეობაში და ბოლო ხანებში ტრეკიდან გზატკეცილზე გადასულიც აღწევდა წარმატებებს — წლევანდელი „ტურ დე ფრანს-ის“ მეოთხე ეტაპზე ფინიშთან მეორე იყო.

მართალი კაცი

გამოვიდა ჟურნალისტ დავით ჭელიძის ახალი წიგნი — „მართალი კაცი“, რომელიც ამაგდარი ქართველი მწვრთნელის, დიდ კალათბურთელთა თაობების აღმზრდელის, სულიკო თორთლაძის ხსოვნას ეძღვნება.

„სულიკო თორთლაძე დიდი პედაგოგი და მწვრთნელი იყო. მის ხელში გაიარა ათობით ნიჭიერმა კალათბურთელმა, რომელთაგან ხუთი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დროის ნაკრებში თამაშობდა, ორმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ორმა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა, ევროპის პირველობებში მოპოვებულ გამარჯვებებს კი ვინ მოთვლის!..“ — წერს ავტორი წინასიტყვაობაში. ჩვენ კი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ სულიკო თორთლაძის ყველაზე სახელოვანი შეგირდები: ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, ზურაბ გრძელიძე...

აღსანიშნავია, რომ ავტორს სულიკო თორთლაძისა და მისი შეგირდების შესახებ თავიდანვე სამწიგნეულის შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი და ისე მოხდა, რომ გარემოებათა გამო, პირველი წიგნი არა მასწავლებელს, არამედ მოსწავლეს, ქართული კალათბურთის ყველაზე ტიტულოვან მოთამაშეს, ზურაბ საკანდელიძეს მიეძღვნა. მეორე ნაწილი უკვე „მართალი კაცია“, მესამე წიგნი კი სულიკო თორთლაძის მეორე სახელოვანი შეგირდის, საკანდელიძის განუყრელი თანაგუნდელის, მიხეილ ქორქიას ხსოვნისადმი იქნება მიძღვნილი.

რეგულარული ჩემპიონატი

ბუფალოელი კრის დრურისა და რეინჯერსელი ჰენრიკ ლუნდკვისტის დუელი

26 ნოემბერი

ტამპა 3:1 ოტავა

0:1 2:0 1:0

0:1 სპეცა (4), 1:1 კუბა (31), 2:1 რიჩარდსი (32), 3:1 სენ ლუი (59)

რეინჯერსი 2:3 ბუფალო

0:0 1:2 1:0 0:1 (ოვერტაიმი)

0:1 აფინოგენოვი (32), 0:2 ვანეკი (35), 1:2 სტრაკა (35), 2:2 სტრაკა (56), 2:3 დრური (62)

ანაჰაიმი 5:3 კალგარი

1:1 1:0 3:2

1:0 პალსონი (9), 1:1 ჰუსელიუსი (12), 2:1 სელიანე (26), 2:2 ჰუსელიუსი (45), 3:2 გეტცლაფი (50), 4:2 სელიანე (57), 4:3 ლენგკოუ (60), 5:3 მარჩანტი (60)

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტიკი

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
რეინჯერსი	24	13	9	2	77:71	28
აილენდერსი	22	12	7	3	63:58	27
ნიუ ჯერსი	22	12	9	1	51:58	25
პიტსბურგი	22	10	8	4	67:68	24
ფილადელფია	24	7	14	3	60:93	17

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ბუფალო	24	19	3	2	105:71	40
ტორონტო	25	13	8	4	87:79	30
მონრეალი	22	13	6	3	68:61	29
ოტავა	24	11	12	1	81:70	23
ბოსტონი	21	10	9	2	58:74	22

სამხრეთ-აღმოსავლეთი

ატლანტა	25	14	7	4	83:74	32
კაროლინა	25	13	9	3	83:80	29
ტამპა	24	13	10	1	78:73	27
ვაშინგტონი	23	8	9	6	63:80	22
ფლორიდა	25	8	13	4	68:86	20

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრალური

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ნეშვილი	22	15	5	2	78:59	32
დეტროიტი	22	12	6	4	58:54	28
სენტ ლუისი	22	7	12	3	54:74	17
ჩიკაგო	21	7	12	2	49:67	16
კოლუმბუსი	22	6	14	2	50:71	14

ჩრდილო-დასავლეთი

ედმონტონი	22	13	8	1	66:56	27
მინესოტა	23	13	9	1	70:61	27
კოლორადო	23	11	10	2	71:65	24
ვანკუვერი	24	11	12	1	55:66	23
კალგარი	22	10	10	2	59:54	22

წყნარი ოკეანე

ანაჰაიმი	25	17	2	6	91:63	40
სან ხოსე	24	17	7	0	78:55	34
დალასი	22	16	6	0	65:47	32
ლოს ანჯელესი	25	8	13	4	68:84	20
ფინიქსი	23	8	15	0	56:88	16

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები



ნიკლას ლიდსტრომი

ბომბარდირები: იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 37 (12+25); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 33 (10%23); მარიან ჰოსა (ატლანტა) 31 (16+15); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 31 (8+23); ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 30 (16+14); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 30 (15+15); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 30 (10+20); დანიელ ბრიერი (ბუფალო) 30 (10+20); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 30 (16+14).

გოლეადორები: ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 17; კოვალჩუკი, ვანეკი, ხოსა, დერსი ტაკერი (ტორონტო) 16-16; სენ ლუი, ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 15-15; ერიკ სტაალი (კაროლინა), ჯეისონ ბლეიკი (ალენდერსი), დრური, რაიან სმითი (ედმონტონი), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), დენი ჰოლი (ოტავა) 14-14.

ასისტენტები: იაგრი 25; ბრინდამორი, ნიულანდერი 23-23; კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 22; მარკ სავარი (ბოსტონი) 21; კროსბი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ჯო ტორნტონი (სან ხოსე), ბრიერი 20-20.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 22; ვანეკი, პრონგერი 16-16; იაგრი, ბრაიან კემპბელი (ბუფალო) 14-14; დენის მარკოვი (დეტროიტი), მარტინ სტრაკა (რეინჯერსი), მეტიუ ლომბარდი (კალგარი) 13-13.

მეკარეები



ჟან-სებასტიან ჟიგერი

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,04; კრისტობალ იუვე (მონრეალი) 2,10; ვესა ტოსკალა (სან ხოსე) 2,13; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,16; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,21; მარტი ტურკო (დალასი) 2,23.

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: იუე 93,5; კიპრუსოფი 92,8; დუეინ როლოსონი (ედმონტონი) 92,6; ტოსკალა 92,5; რეი ემერი (ოტავა) 92,3; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 92,2.

მოგებული მატჩები: ჟიგერი 13; როლოსონი, მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), რაიან მილერი (ბუფალო) 12-12.

შთაუტები: კარი ლეჰტონენი (ატლანტა), ჟიგერი, ბროდო, კიპრუსოფი, ჰაშეკი, ნაბოკოვი 3-3; მაიკ სმითი (დალასი) 2.

AFP ბუენოს აირესიდან

ბოლიათი დიეგო

„ბოკას“ ფანებმა ფული შეკრიბეს და „ბოკასავე“ მუზეუმში დიეგო არმანდო მარადონას ძეგლი დაუდგეს.

ბრინჯაოს დიეგო 2,2 მეტრის სიმაღლისაა, სამას კილოგრამს იწონის და 80-იანი წლების მარადონას განასახიერებს. დიეგო კმაყოფილია.

კოლინა ცუნამის წინააღმდეგ

მალდივის კუნძულების მოწინავე გაზეთს გადაუწყვეტია, ინდოეთის ოკეანეში [illegible] დაზარალებულებს დახმარებოდა და ამ საქმეში პიერლუიჯი კოლინა დაეხმარება. მსაჯვარსკვლავის სამსოფლიოჩემპიონატო სამოსი აუქციონზე გაუტანიათ, თავად კოლინა კი მალდივებს საშობაოდ ეწვევა და იქ იგივ საქველმოქმედო მიზნით დანიშნულ მატჩსაც იმსაჯებს.

AFP

AFP ჯალენდიდან

მეფორმულე ალექს ძანარდიმ ჯერ კიდევ 2001 წელს დაკარგა ფეხები კარტის სერიაში რბოლისას. თუმცა მანქანის მართვა მამაც პილოტს კვლავაც შეუძლია და ბმვ-ს სავარჯიშო სესიებშიაც მონაწილეობს.

ფრანგული მოძრაობა

ამ გრაციოზული ფრანგული წყვილის ფოტო ამასწინათაც დავბეჭდეთ. იზაბელ დელობელი და ოლივიე შონფელდერი ახლა მოსკოვის ყინულზე არიან და დიდი პრიზისთვის იბრძვიან.

AFP ძოსკოვიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ ვიგრიანული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიანი, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge